

# „თქვან იმენდ გვიღუ, ნინო“

ზაზა ნულაძე  
სამხარალო-თხილი

იმ ფონზე, როცა პრეზიდენტი შე-ვარდნაძისთვის სულ უფრო ძნელი და გამაღიზიანებელია საკუთარ ხალხთან პირისპირ შეხედრა და მა-თი აზრის მოსმენა, სახელმწიფო მი-ნისტრი ჯორბენაძე კი ხალხს, ძირი-თადად, იმ მიზნით ხვდება, რომ "მო-ქალაქთა კავშირში" გაწევრიანე-ბისა და მხარდაჭერის აუცილებლო-ბაში დაარწმუნოს, პარლამენტის თავჯდომარის, ნინო ბურჯანაძის ეიზიტი სამეგრელოში იმის დემოსტ-რირებად იქცა, რომ, თურმე, ჩვენს ხელისუფლებაშიც არიან ადამიანე-ბი, რომლებსაც გულწრფელად აინ-ტერესებთ, რა გვაწუხებს, რითი დაგ-ვეხმარონ და, რაც მთავარია, სანაც-ვლოდ არაფერს ითხოვენ. ორი დღის მანძილზე, რომლის დროსაც, ბურ-ჯანაძემ ფორსირებულად მიმოიარა აბაშა, სენაკი, ფოთი, ხობი, ზუგდიდი და წალენჯიხა, მას ერთხელაც არ უხსენებია სიტყვები - "არჩევნები" და "ჩემი პარტია". თამამად შეიძლე-ბა ითქვას, რომ აფხაზეთსა და სვა-ნეთში საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის მოგზაურობასთან ერ-თად, ბურჯანაძის პირველი ჩასვლა სამეგრელოში გასული კვირის მიდა-პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერ-თი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ბაბრძილაბა A3 გვარძაბა



ზაზა ნულაძე ფოტო

სამეგრელო ხელისუფლებასთან ასე ახლოს, კარგა ხანია, არ ყოფილა.

ასლანბაჰ ასლანბაშვი: "მე სხვის ოჯახში იარაღით ხელში არ შევალ" A3

"იბარა-ჭორჭიას" ჩამოყალიბება პირველ მაისამდე უნდა დასრულდეს A4

რუსეთი ურავს თავისი ნავთობპომპანიების ხაზითი ისავს A4

გავი ზღვის ზღვარი მთილიან ტრანსპორტის მარაგში A4

306 იმგანგან ნათო-ს ახალი ნავიგაბი? A5

არაფაბი ისავ ალყაში A5

სად ვიზოვოთ სახალმძღვანელოები A6

გავიკაბული მთიან გავნაგრივი პირი გავგაგრივავი მოყვა A6

გავ სკოლა, გავ გავ, გავგავ... A6

აბინდი	
თხილისი	29
კათაისი	31
გათაბი	29
სოხაბი	31
ფოთი	30
თალაპი	28
გუბდინი	32
გორი	26
ახმატა	28
ჭიათურა	29
გაბრა	31
სამხრადი	31

უხხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში	
აშშ დოლარი	2.1800
ევრო	2.1460
გირვანკა სტერლინგი	3.3879
რუბლი	0.0689

## ევროსაბჭო საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხზე გასვრ რეჟოლუციას ამზადებს

თამარ ხორბალაძე

გუშინ პარიზში გაიმართა ევრო-საბჭოს პოლიტიკური კომიტეტის სხდომა, რომელმაც საქართველოს საკითხთან დაკავშირებით მისაღები რეზოლუციის ტექსტი განიხილა. სა-კითხი წარმოადგინა გერმანელმა დეპუტატმა კრისტა ლორხელმა. სხდომაში საქართველოს მხრი-დან მონაწილეობას იღებდა საქარ-თვლოს პარლამენტის ექს-სპიკერი, "გაერთიანებული დემოკრატი" ზუ-რაბ ჟვანია. გუშინ საღამოს "24 საა-თი" ზურაბ ჟვანიას პარიზში დაუკავ-შირდა და განხილვის შედეგების შე-სახებ კომენტარი სთხოვა.

- ბატონო ზურაბ, რა შედეგით დამთავრდა პოლიტიკური კომიტე-ტის გუშინდელი სხდომა? რამდენად მოახერხა საქართველომ საკუ-თარი პოზიციის დასაბუთება?

- სხდომა დამთავრდა სწორედ საქართველოს რეზოლუციაზე

ბაბრძილაბა A2 გვარძაბა

ბატონო, მისიანისტური მსოფლმხედ-ველობა, რომელიც კეთილის უცილო-ბელ გამარჯვებასა და ბოროტის გარ-დაუგულ დამარცხებას გულისხმობს. რალა თქმა უნდა, კუთილში "ამერიკუ-ლი ლირებულებები" იგულისხმება, ხოლო ბოროტში – ყველაფერი, რაც ამ ლირებულებებს ემუქრება.

ბაბრძილაბა A5 გვარძაბა

## „იბარა-ჭორჭიას“ ჩამოყალიბება პირველ მაისამდე უნდა დასრულდეს

დღემდე ინფორმაცია რომელიც "იტერა-ჯორჯიას" შექმნას უკავ-შირდება შორს არის კონკრეტის-გან. დაუზუსტებელია ის ძირითადი საკითხები, რომელთა გარშემოც უნ-და მომზადდეს ხელშეკრულების პროექტი ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე. ხელშეკრულების ის დეტალები კი, რაც საზოგადოების დიდი ნაწილის აღფრთოვანს იწვევს, საერთო სურათის შესაქმნელად საკ-მარისი არ არის.

"24 საათი" შეეცადა, შეეკრიბა ხელისუფლებისა და "იტერას" ის წარმომადგენლები, ვისაც ხელშეკ-რულების პირობების დამუშავება უშუალოდ ეხება და მათი დახმარე-ბით გაერკვია "იტერა"-საქართვე-ლოს შორის გასაფორმებელი ხელ-შეკრულების ძირითადი ასპექტები. დღეს რედაქციის სტუმრები არი-ან სახელმწიფო მინისტრის მოადგი-ლე აკაკი ზოიძე, "იტერას" წარმო-მადგენელი საქართველოში თამაზ

ბატონი, მისიანისტური მსოფლმხედ-ველობა, რომელიც კეთილის უცილო-ბელ გამარჯვებასა და ბოროტის გარ-დაუგულ დამარცხებას გულისხმობს. რალა თქმა უნდა, კუთილში "ამერიკუ-ლი ლირებულებები" იგულისხმება, ხოლო ბოროტში – ყველაფერი, რაც ამ ლირებულებებს ემუქრება.

ბაბრძილაბა A5 გვარძაბა



ლანა ხალაშვილი ფოტო

დისკუსია "24 საათის" რედაქციაში.

ბატონი, მისიანისტური მსოფლმხედ-ველობა, რომელიც კეთილის უცილო-ბელ გამარჯვებასა და ბოროტის გარ-დაუგულ დამარცხებას გულისხმობს. რალა თქმა უნდა, კუთილში "ამერიკუ-ლი ლირებულებები" იგულისხმება, ხოლო ბოროტში – ყველაფერი, რაც ამ ლირებულებებს ემუქრება.

ბაბრძილაბა A4 გვარძაბა

## პრეზიდენტის საპარლამენტო ანგარიში - მომავლის ხედვა თუ მომავლის შიში

ბადრი კოჭლაძე

პრეზიდენტი შევარდნაძე ნელი-ნადნახერიაი პაუზის შემდეგ პარლამენტში მისასვლელად ემზა-დება. ჯერჯერობით ბოლომდე გარკვეული არ არის, როდის შედგე-ბა ეს გამოსვლა, თუმცა, გამოსე-ლის ძირითადი თემა უკვე კარგა ხა-ნია ანონსირებულია - პრეზიდენტი უკანასკნელი ათწლეულის შეფასე-ბას შეეცდება.

მიუხედავად ასეთი განზოგადოე-ბული მიდგომისა, ბუნებრივია, ვერც შევარდნაძის გამოსვლა და ვერც მის ირგვლივ გამართული დებატები მიმ-დინარე საკითხებს ვერ ასცდება. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ შევარდნაძე, როგორც ჩანს, შეეცდე-ბა, საზოგადოებას მთლიანობაში წარმოუდგინოს ის, რისი მიღწევაც შეძლო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მეთაურმა. თავისთავად სა-ინტერესოა საკითხისადმი ასეთი მიდგომა მაშინ, როდესაც შევარდნა-ძეს ჯერ კიდევ დიდი დრო დარჩა უფლებამოსილების გასვლამდე. რა-ტომ აპირებს შევარდნაძე თავისი

ბაბრძილაბა A8 გვარძაბა

ბატონი, მისიანისტური მსოფლმხედ-ველობა, რომელიც კეთილის უცილო-ბელ გამარჯვებასა და ბოროტის გარ-დაუგულ დამარცხებას გულისხმობს. რალა თქმა უნდა, კუთილში "ამერიკუ-ლი ლირებულებები" იგულისხმება, ხოლო ბოროტში – ყველაფერი, რაც ამ ლირებულებებს ემუქრება.

ბაბრძილაბა A5 გვარძაბა

## გზაჯვარადინვა

აკა კვინიტაძე

ბოლო დღეებში ვაშინგტონი გულომდინედ ცდილობს საქართვე-ლოსა და რუსეთს შორის უკიდურე-სად დაძაბული ურთიერთობები გან-მუხტოს. ამერიკის პრეზიდენტი და უშიშროების მდივანი რუსეთის საგა-რეო და თავდაცვის მინისტრებს შეხვ-დნენ. კონფლიქტა რაისთან შესახ-ვედრად ვაშინგტონში სპეციალურად ჩაფრინდა საქართველოს უშიშროე-ბის საბჭოს მდივანი თედო ჯაფარი-ძეც. იგეგმებოდა სამხრეთი შეხვედრა რუსეთის, საქართველოსა და ამერი-კის მონაწილეობით, რომელიც, ტექ-ნიკური მიზეზების გამო, ვერ შედგა. პრეზიდენტმა შევარდნაძემ პრეზი-დენტ ბუშისაგან ზედინედ მიიღო მხარდაჭერის ორი წერილი. ერთე-რთი ყველაზე გავლენიანი სენატორი ჯონ მაკკინი კი სენატში საქართვე-ლოს მხარდასაჭერად რუსეთს მოხ-სენებით გამოვიდა. მანამდე კი რუსე-თის მიმართ გამაფრთხილებელი გან-ცხადებები სახელმწიფო დეპარტა-მენტსა და პენტაგონში გაკეთდა.

ახუ საქართველომ ამერიკისაგან მაქსიმალური საგარეო მხარდაჭერა მიიღო. მაგრამ, პარალელურად, ბუ-შის წერილით აშკა მინიშნებებია იმა-ზე, რომ შევარდნაძემ შიდა პოლიტი-კურ პრობლემებს უნდა მიხედოს, კორუფციასთან იბრძოლოს და რე-ფორმები დააჩქაროს.

ბაბრძილაბა A3 გვარძაბა

ბატონი, მისიანისტური მსოფლმხედ-ველობა, რომელიც კეთილის უცილო-ბელ გამარჯვებასა და ბოროტის გარ-დაუგულ დამარცხებას გულისხმობს. რალა თქმა უნდა, კუთილში "ამერიკუ-ლი ლირებულებები" იგულისხმება, ხოლო ბოროტში – ყველაფერი, რაც ამ ლირებულებებს ემუქრება.

ბაბრძილაბა A5 გვარძაბა

## საქართველოს მოქალაქეები საქართველოს წინააღმდეგ

სოფიკო ახანიძე

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლო ის ორგანო გახლავთ, სადაც ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს საშუალება ეძლევა, სა-კუთარ ქვეყანაში არსებული უსა-მართლობისგან დაიცვას თავი. შეიძ-ლება ითქვას, ეს ერთადერთი საერ-თაშორისო სასამართლო, რომელიც კერძო სარჩელებს განიხილავს და საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მომ-ჩივან ადამიანებს, ხშირ შემთხვევა-

ბატონი, მისიანისტური მსოფლმხედ-ველობა, რომელიც კეთილის უცილო-ბელ გამარჯვებასა და ბოროტის გარ-დაუგულ დამარცხებას გულისხმობს. რალა თქმა უნდა, კუთილში "ამერიკუ-ლი ლირებულებები" იგულისხმება, ხოლო ბოროტში – ყველაფერი, რაც ამ ლირებულებებს ემუქრება.

ბაბრძილაბა A5 გვარძაბა

ბატონი, მისიანისტური მსოფლმხედ-ველობა, რომელიც კეთილის უცილო-ბელ გამარჯვებასა და ბოროტის გარ-დაუგულ დამარცხებას გულისხმობს. რალა თქმა უნდა, კუთილში "ამერიკუ-ლი ლირებულებები" იგულისხმება, ხოლო ბოროტში – ყველაფერი, რაც ამ ლირებულებებს ემუქრება.

ბაბრძილაბა A5 გვარძაბა

## აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში ამერიკის როლი იზრდება?

სააგენტო "ინტერპრესის" ცნო-ბით, სოხუმს იმედი აქვს, რომ "აშშ, რუსეთთან ერთად, იქნება აფხა-ზეთში საბრძოლო მოქმედებების განუახლებლობის გარანტი". ეს განცხადება "აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა" სერგეი შამ-ბამ გააკეთა აფხაზეთის კონფლიქ-ტის მშვიდობიანი დარეგულირე-ბის თაობაზე მიმდინარე რუსულ-ამერიკული დიალოგის კომენტე-რებისას.

შამბას თქმით, აფხაზეთი დადე-

ბატონი, მისიანისტური მსოფლმხედ-ველობა, რომელიც კეთილის უცილო-ბელ გამარჯვებასა და ბოროტის გარ-დაუგულ დამარცხებას გულისხმობს. რალა თქმა უნდა, კუთილში "ამერიკუ-ლი ლირებულებები" იგულისხმება, ხოლო ბოროტში – ყველაფერი, რაც ამ ლირებულებებს ემუქრება.

ბაბრძილაბა A5 გვარძაბა

ბატონი, მისიანისტური მსოფლმხედ-ველობა, რომელიც კეთილის უცილო-ბელ გამარჯვებასა და ბოროტის გარ-დაუგულ დამარცხებას გულისხმობს. რალა თქმა უნდა, კუთილში "ამერიკუ-ლი ლირებულებები" იგულისხმება, ხოლო ბოროტში – ყველაფერი, რაც ამ ლირებულებებს ემუქრება.

ბაბრძილაბა A5 გვარძაბა

## კაცო, რომელსაც ზარი უხმოვდა

იკ ანთაძე  
ჩადიო "თავისუფლება"  
საპოლიტკარ "24 საათისთვის"

სექტემბრის ბოლო დღეები ზევრი ქართული ოჯახისთვის გლოვის დღე-ბია. ცხრა წლის წინ, 27 სექტემბერს, დიდი დანაკარგების და მძიმე ბრძო-ლების შემდეგ, ქართულმა ჯარმა და-ტოვა სოხუმი, დატოვა აფხაზეთი და თავისი სამშობლოდან თავის სამშო-ბლოში გამოიქცა.

დღეს ჯერ კიდევ არ ვიცით, რა-ტომ დაიწყო ან როდის დასრულდება აფხაზეთის ომი. არც ის ვიცით, რითი დასრულდება.

ხელისუფლების ერთ ნაწილს მე-გობარი ქვეყნების იმედი აქვს, მეო-რე ნაწილი კი ხშირად გვახსენებს, რომ აფხაზეთის გასაღები რუსეთში უნდა ვეძებოთ. დევნილებს არავისი და არაფრის იმედი აღარ შეერჩათ და, ამიტომაც, ინერციით, სულ ერთსა და იმავეს მოითხოვენ: "ვადა, ვადა დაგვისახელო!". ოპტიმისტები ფიქრობენ, რომ ედუარდ შევარდნა-

ბატონი, მისიანისტური მსოფლმხედ-ველობა, რომელიც კეთილის უცილო-ბელ გამარჯვებასა და ბოროტის გარ-დაუგულ დამარცხებას გულისხმობს. რალა თქმა უნდა, კუთილში "ამერიკუ-ლი ლირებულებები" იგულისხმება, ხოლო ბოროტში – ყველაფერი, რაც ამ ლირებულებებს ემუქრება.

ბაბრძილაბა A8 გვარძაბა

ბატონი, მისიანისტური მსოფლმხედ-ველობა, რომელიც კეთილის უცილო-ბელ გამარჯვებასა და ბოროტის გარ-დაუგულ დამარცხებას გულისხმობს. რალა თქმა უნდა, კუთილში "ამერიკუ-ლი ლირებულებები" იგულისხმება, ხოლო ბოროტში – ყველაფერი, რაც ამ ლირებულებებს ემუქრება.

ბაბრძილაბა A5 გვარძაბა

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უხხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანატა B4-B5 იუზორი B6 განცხადებაბი B7 სკორტი B8 სხვადასხვა



საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პრეზიდენტი

**თბილისი.** პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პრესმდივნის კახა იმნაძის განცხადებით, ჯერჯერობით არ არსებობს ოფიციალური პასუხი მოლაპარაკებების საქართველოს, რუსეთისა და აშშ-ს „საკონსულტაციო სამკუთხედის“ ფორმატში წარმართვის თაობაზე.

როგორც კახა იმნაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველო და აშშ მზად არიან უმაღლეს დონეზე ასეთი სამხრეთი საკონსულტაციო ორგანოს შექმნისათვის, რომლის ინიციატივაც საქართველოს პრეზიდენტისგან მოდის და რასაც აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ედუარდ შევარდნაძისათვის გამოგზავნილ ბოლო წერილში უჭერს მხარს.

ქართული მხარის აზრით, სამხრეთმა საკონსულტაციო ორგანომ უნდა მოიცვას საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში დაგროვილი პრობლემების მთელი სპექტრი, მათ შორის საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი.

“მთელი ცივილიზებული მსოფლიო ელოდება რუსეთისგან პასუხს”, - თქვა კახა იმნაძემ.

იმავდროულად რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ივანე ივანოვმა პარისკენც გაუმაგტომა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პანკისის პრობლემატიკასთან დაკავშირებით რუსეთ-საქართველო-აშშ-ს სამხმრეთი კომისიის შექმნის თაობაზე წინადადება რუსულ მხარეს არ მიუღია.

ამასთან, რუსი დიპლომატის თქმით, ამ პრობლემის გადასაწყვეტად “საჭიროა არა კომიტეტები და კომისიები, არამედ პოლიტიკური ნება”. **პრაიმ-ნოუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტოლოგ რამაზ კლიმაშვილის აზრით, მემარჯვენე პარტიების ლიდერთა ამბიციები ხელს უშლის მათ გაერთიანებას, რაც აუცილებელია ხელისუფლებაში მოსასვლელად. როგორც პრაიმ-ნოუსი უთხრა რამაზ კლიმაშვილმა, საერთო ენის გამონახვა მემარჯვენე ფრთაზე შესაძლებელია, მაგრამ მემარჯვენე პარტიების “ყველა ლიდერს პირველობა სურს”.

იგივე მიზეზით, კლიმაშვილი შეუძლებლად მიიჩნევს “გაერთიანებული დემოკრატებისა” და “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ერთ კოალიციაში ყოფნას. ბევრს ვერ გაუგია, რომ ზურაბ ჟვანიას და მიხეილ სააკაშვილის პარტიები ერთი არ არის და ისინი სულ უფრო სცილდებიან ერთმანეთს, - თქვა კლიმაშვილმა.

ამასთან, პოლიტოლოგის აზრით, ამ ორი ლიდერის პიროვნული ამბიციები “გაერთიანებული დემოკრატების” და “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” პარტიულ ორიენტაცისაც განსაზღვრავს. რამაზ კლიმაშვილის თქმით, ზურაბ ჟვანიას “გაერთიანებული დემოკრატების” ლოზუნგები ხშირად უფრო მემარჯვენეა, მიხეილ სააკაშვილის “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ლოზუნგები კი უფრო მემარცხენე. **პრაიმ-ნოუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის ივანოვოს ოლქში წარმოებული ნაჭრების საბითუმო მაღაზია გაიხსნება უახლოეს მომავალში აფხაზეთის ქალაქ გუდაუთაში. როგორც პრაიმ-ნოუსს აფხაზეთის არალიაერული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში აცნობეს, განიხილება ასევე ივანოვოს ოლქის დახმარებით გუდაუთაში ნატურალური წვევნებისა და აყაინის მცირე სამეგრეების გახსნის შესაძლებლობა.

თავის მხრივ, აფხაზეთი მზად არის მიანოღოს ივანოვოს ოლქს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და თამბაქო, ასევე შესთავაზოს საკურორტო ობიექტები დასვენებისათვის.

აფხაზეთში სტუმრად იმყოფებოდა ივანოვოს ოლქის ქალაქ კინგმას ადმინისტრაციის მეთაური ანდრეი ნაზაროვი. **პრაიმ-ნოუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქეთის ქალაქ ტრაპიზონის ნავსადგურის 23-27 სექტემბერს მგეობრული ვიზიტით ეწვევა საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარისა და ფოთის პირველ და მეორე დივიზიონებში დისლოცირებული სამი ერთეული საპატრულო კატარდა.

როგორც პრაიმ-ნოუსს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა შალვა ლონდარიძემ აცნობა, ვიზიტი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და თურქეთის რესპუბლიკის სანაპირო დაცვის სამსახურს შორის დაგეგმილ ერთობლივ ლონისძიებათა თანახმად განხორციელდება.

ამასთან, ამავე პერიოდში ჩატარდება ერთობლივი საზღვაო წვრთნები. **პრაიმ-ნოუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნატო-ში მიიჩნევენ, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განკერძოების საკითხის განხილვა ნაადრევია.

“ნატო-ში განეფრიანება არ არის ავტომატური პროცესი, არამედ ეს გრძელი გზაა, სახელმწიფოს მეთაური და მთავრობა ალიანსში შესვლის შესახებ გადანყევტილებას მხოლოდ ამ გზის ბოლოს იღებენ”, - უთხრა ჟურნალისტებს ნატო-ს ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პატრიკ არდუანმა საქართველოს ოფიციალური პირების განცხადებების კომენტარებისას.

იგი მიიჩნევს, რომ კავკასიის რეგიონის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, ბევრი რამის გაკეთება მოუწევთ რეფორმების თვალსაზრისით.

კითხვაზე, შეძლებს თუ არა საქართველო სამ წლიანდში ნატო-ში განკერიავნებისათვის აუცილებელ გარდაქმნებს, პატრიკ არდუანმა თქვა, რომ პროგნოზის გაკეთება უჭირს, მაგრამ ეს თუ ასე მოხდა, პირადად მას ძალიან გაუკვირდება. **პრაიმ-ნოუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავისი ბელორუსი კოლეგის — ალექსანდრ ლუკაშენკოსადმი მიწერილ წერილში გამოთქვა იმედი, რომ “ბელორუსის პრეზიდენტი ობიექტურად და სამართლიანად შეაფასებს რუსულ-ქართული ურთიერთობის პრობლემებს”. საქართველოს პრეზიდენტმა კვლავ დაადაზნაშაულა რუსეთის ძალოვანი უწყებები იმაში, რომ ამ უკანასკნელთ აწერ შეძლეს, უფრო სწორად კი არ მოინდომეს, შეეკავებინათ სამხედრო მოქმედებები რუსეთის საზღვარზე, რათა არ დაეშვათ კონფლიქტის გადატანა მეზობელი სუვერენული და მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოს ტერიტორიაზე“. **მედია-ნოუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლექსე ბალცეროვიჩის საქართველოში ორწლიან მოღვაწეობას ნულოვანი შედეგი აქვს”, — მიაჩნია პარ-

ლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა რომან გოცირიძეს. როგორც “შედი-ანოუსს” გოცირიძემ განუცხადა, ამ ხნის განმავლობაში მას არ უხსავეს საქართველოს მთავრობისათვის შეთავაზებული რაიმე სერიოზული დოკუმენტი და ერთი გადანყევტილება მაინც, რომელიც მთავრობას ბალცეროვიჩის რჩევის საფუძველზე მიეღოს.

„თუ რაიმე არსებობს მაინც, ის მხოლოდ ფარტინა ქალაღია“, — აღნიშნა გოცირიძემ, რომელიც მიიჩნევს, რომ „ბალცეროვიჩს ხელისუფლება მხოლოდ შირმად იყენებს“.

მისუბედავდ ამგვარი პოზიციისა, გოცირიძეს მიაჩნია, რომ არ არის საჭირო მთავრობას ურჩიო, დაანებოს თავი ბალცეროვიჩს. „როგორც ჩანს, ხელისუფლებას არ ენახება ფუჭად გადაყრილი ის თანხა, რაც ბალცეროვიჩის ჯგუფისათვის იხარჯება“, — თქვა გოცირიძემ.**მედია-ნოუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში 218 ულიცენზიო აფთიაქი გამოეღინდა, — აცნობეს „მედია-ნოუსს“ სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინსპექციაში.

ინსპექცია აფთიაქთა საქმიანობას მიმდინარე წლის აპრილიდან აკონტროლებს. სპეციალისტთა თქმით, ხშირად ულიცენზიო აფთიაქებში უხარისხო წამლები იყიდება.

ინსპექციას აღებული აქვს წამლების ნიმუშები, რომლებსაც ლაბორატორიულად შემოწმებენ. გამოკვლევების შედეგად ინსპექცია რამდენიმე დღეში გამოაქვეყნებს.

ინსპექციის უფროსის მოადგილის ქეთევან ბარამიძის თქმით, ინსპექციის მიერ შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ხელშესაზე მო შედეგები მოჰყვა: აპრილიდან დღემდე 32 არალიცენზირებული აფთიაქი დაიხურა. ამავე პერიოდში 12 არალიცენზირებული აფთიაქის მფლობელმა ლიცენზია მიიღო. **მედია-ნოუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „სახელმწიფო ხარჯების მიმოხილვა“ — ასე ეწოდება საქართველოში მსოფლიო ბანკის მისიის მიერ მომზადებულ 100-გვერდიან დოკუმენტს, რომელსაც ორი დღის განმავლობაში განიხილავდნენ მსოფლიო ბანკის თბილისის ოფისში გამართულ ფისკალური პოლიტიკის სემინარზე.

როგორც „მედია-ნოუსს“ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობაში აცნობეს, ბანკის ინიციატივით ჩატარებულ სემინარში მონაწილეობდნენ სახელმწიფო მინისტრის მოადგილე აკაკი ზოიძე, ეკონომიკური პროფილის სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელი პირები.

მასმედიისთვის დახურული სემინარის მიზანი იყო თითოეული უწყების როლის განსაზღვრა ეკონომიკურ პოლიტიკაში. **მედია-ნოუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ჩეჩნეთის არაოფიციალური წარმომადგენელი ხიზრი აღდამოვი რუსეთის მორგე პროოკაციას უწოდებს საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „კავკაზცენტრის“ საქართველოს ბიუროს გახსნის შესახებ გაერცელებულ ინფორმაციას, რომელსაც, „რია-ნოვოსტის“ მტკიცებით, „იჩქერიის სეპარატისტული ხელისუფლების ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მოვლადი უღუგოვი უხელმძღვანელებს“.

**მედია-ნოუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 26 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს სამთავრობო დილეგაცია ვაშინგტონში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყველწლოურ ყრილობაში. როგორც კავკას-პრესს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს, დილეგაციაში შედიან საქართველოს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე, პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თემურ ბასილია და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე.

28-29 სექტემბერს ვაშინგტონში გაიმართება მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემაჯამებელი სხდომა, რომელიც 2001-2002 საფინანსო წლის ანგარიშს მოისმენს.

სდფ-სა და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობა გარდა ანგარიშის მოსმენისა დასახავს მომავალი 2002-2003 საფინანსო წლის გეგმებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**კოდორის ხეობა.** პრეზიდენტის რწმუნებულის, ემზარ კვიციანის ინფორმაციით, გუშინ ადანდეს უღელტეხილის თავზე რუსული და აფხაზური ზუთი მვეულმფრენი გამოჩნდა. კვიციანმა „მედია-ნოუსთან“ საუბრისას განაცხადა, რომ შეეუღლმფრენები კოდორის ხეობას, კერძოდ, მარუხისა და ადანდეს უღელტეხილებს ზეფრავდნენ.

■ ■ ■

**ბაქო.** აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი ორშაბათს, 23 სექტემბერს რუს კოლეგასთან ვლადიმირ პუტინთან შეხვედრას გეგმავს.

როგორც პრაიმ-ნოუსის ბაქოულ კორესპონდენტს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცნობეს, იფინსში ორი ქვეყნის ლიდერს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, 23-24 სექტემბერს ჰეიდარ ალიევი რუსეთს სამუშაო ვიზიტით ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებზე განიხილება სათბო-ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის, კერძოდ, კასპიის ზღვის რესურსების ათვისებისა და დაცვის საკითხები.

მოლაპარაკებების თემა იქნება ასევე ორზრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა, კავკასიის რეგიონში შექმნილი სიტუაცია. **პრაიმ-ნოუსი**

■ ■ ■

**ბაქო.** რუსეთის საპარლამენტო დელეგაცია სპიკერის გენადი სელუზნიოვის მეთაურობით კვირას სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანს ეწვია.

როგორც პრაიმ-ნოუსს აზერბაიჯანის მთლი-მეჯლისის პრესსამსახურში აცნობეს, კვირასვე დაგეგმილია გენადი სელუზნიოვის შეხვედრა პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევთან.

ორშაბათს რუსეთის დელეგაცია შეხვდება აზერბაიჯან-რუსეთის საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის ჯგუფის წევრებს.

დაგეგმილია, ასევე, გენადი სელუზნიოვის შეხვედრები აზერბაიჯანის პირმეორ-მიხისტთან არტურ რასი-ზადესთან და მთლი მეჯლისის თავმჯდომარესთან მურთუზ ალესკეროვთან. **პრაიმ-ნოუსი**

## ევროსაბჭო საქართველო-რუსეთის ურთიართობაზის საკითხზე მკაცრ რაზოლუციას აზზადავს

**პირავლი ბპირაფიდა**

დანყებული კამათით რუსეთის დელეგაციასა და ასამბლეის ყველა სხვა დანარჩენ ძირითად მონაწილეებს შორის.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტში შეხვედრის შემდეგ რეზოლუციის პროექტი მთლიანად შეიცვალა. ახალ პროექტში, რომელიც უნდა წარედგინოს პლენარულ სხდომას ოთხშაბათისათვის, შევიდა რამდენიმე ახალი მუხლი.

ამ მუხლებში პირდაპირ არის ლაპარაკი, თუ რაოდენ დაუშვებელი იყო პრეზიდენტ პუტინის 11 სექტემბრის განცხადება, რომ რუსეთს არა აქვს არანაირი უფლება, მოიშველიოს გაეროს წესდების 51-ე მუხლი და იფიქროს საქართველოს წინააღმდეგ ცალმხრივი სამხედრო მოქმედების შესახებ.

რეზოლუცია მოითხოვს რუსეთის ხელისუფლებისაგან, სრული პატივისცემით მოეკიდოს საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და არ დაუშვას არანაირი ჩარევა საქართველოს სამინაო საქმეებში.

რეზოლუციაში ნახსენებია ცალმხრივი გადანყვტილებები სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთათვის სხვადასხვა შეღავათების



**ზურაბ ჟვანია**

მიცემა და ყველა ის საკითხი, რომელიც დღეს აწუხებს ჩვენს საზოგადოებას.

**- გაკეთებულია თუ არა რეზოლუციაში აქცენტი უშუალოდ პანკისის ხეობაზე?**

- ძირითადი პათოსი დღეს სწორედ პანკისთან იყო დაკავშირებული. მე გავაკეთე ინფორმაცია, რომ

შეხვედრის წინ გახლდით ხეობაში და ჩემი თვალით ვნახე, რომ ქართველი სამართალდამცავების მიერ ჩატარებული ოპერაცია წარმატებით მიმდინარეობს. აღვნიშნე, რომ საქართველო დღეს მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საკითხს და, ამიტომაც, დღეს რეზოლუციაში პანკისის ხეობის მოხსენიება, როგორც უკონ-

ტროლო ტერიტორიის, აღარ არის მიზანშეწონილი და შესაძლებელი. ორი კვირის წინათ პანკისი, შესაძლოა, მართლაც უკონტროლო ტერიტორია იყო, მაგრამ დღეს ეს ტერიტორია არის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სრული კონტროლის ქვეშ.

**- რეზოლუციის წინასწარ ვარიანტში, ანუ თავად მომხსენებლის მიერ მომზადებულ ვარიანტში, ვითარების ასეთი ცვლილება გათვალისწინებული საერთოდ არ იყო?**

- წინასწარ ვარიანტში დაფიქსირებული იყო უფრო შუალედური პოზიციები, იგრძნობოდა რუსეთის პროპაგანდის დიდი გავლენა. მაგრამ რუსეთის ხელისუფლების ბოლოდროინდელმა აგრესიულმა განცხადებებმა და საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირმა მუქარამ ყველას დაანახა, თუ რასთან აქვთ საქმე. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ევროსაბჭოს პოლიტიკური კომიტეტის უმრავლესობამ - ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ რუსეთის დეპუტაციის ნაწილი - ერთსულოვნად გაიზიარა ჩვენი წინადადებები. 23 სექტემბრისთვის დაინიშნა კომიტეტის დამატებითი სხდომა, სადაც რეზოლუციის ტექსტზე მუშაობას დავასრულებთ.

სისიაზე რეზოლუციის დამტკიცება კი, ოთხშაბათისთვის არის არიგეგმილი.




გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთაჰპარი რჲდაჰტორი მამჰშაჲ ფაჩჲაშჰილი. პაატა ვეშაჰიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომმეგები რედაქტორი), ირაკლი ლეჲყავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამამტამჰჰი: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მაღლაზ ხარბედია, საყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფარჲაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. შოტქი: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჟერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხბალაძე. კომპიუტერული ცენატრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჟერი), მათა ყიასაშვილი, ლელა წიქარაშვილი, ბეჲა ბალარჲიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხაროვი, თამარ კვაჭანტრიაძე, მზია შომაბია, ჯუანაშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურა ჯაოშვილი.







შავი ზღვის ზღვში  
600 მილიონ ტონამდე  
ნავთობის მარაგი



სოფო კინძარაძე

უცხოეთის საინფორმაციო წყაროები ავრცელებენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამერიკულმა ნავთობმომპოვებელმა კომპანია “ანადარკო” საქართველოს შავი ზღვის შეღვში 600 მილიონი ტონა ნავთობის საბადო აღმოაჩინა.

“ანადარკო-ჯორჯია” 2000 წელს შექმნილი ერთობლივი ამერიკულ-ქართული საწარმოა, რომელშიც ქართულ მხარეს “საქნავთობი” წარმოადგენს. 2000 წლის შემოდგომიდან კომპანია აწარმოებს გეოფიზიკურ კვლევებს სა-ქართველოს მიმდებარე შავი ზღვის შეღვში სამ სალიცენიო ბლოკზე. აღმოჩენილია სამი საბადო 400-დან 1000 მეტრამდე სიღრმეში. თითოეული საბადოს მარაგი 70 მილიონი ბარელიდან (10 მილიონი ტონა) 1,3 მილიარდ ბარელამდე (200 მილიონი ტონა) მერყეობს.

საინფორმაციო-ანალიტიკური ბიულეტენის - “კასპიან ინვესტიორის” მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, “ანადარკო” საერთაშორისო კონსორციუმის შექმნას ამოცანა საქართველოს შავი ზღვის შეღვში არსებული გაზისა და ნავთობის საბადოების საექსპლუატაციოდ. ამჟამად “ანადარ-

საგორნა ხაზი ამოქმედდა

24-25 სექტემბერს, ბუქარესტში დაგეგმილ საქართველო-რუმინეთის სამთავრობათშორისო კომისიების პირველ სხდომაზე ხელი მოეწერება შეთანხმებას სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის - “ბათუმი-კონსტანტინა” ერთობლივი ექსპლუატაციის შესახებ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, საქართველოს სამთავრობო დელეგაციას

კო-ჯორჯია” ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ისეთ ცნობილ კომპანიებთან, როგორებიცაა BP-ი (დიდი ბრიტანეთი), Shell-ი (დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია), ExxonMobil-ი, Chevron Texaco, Marathon-ი (აშშ). აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნავთობმომპოვებელი კომპანიებიდან თითქმის ყველას აქვს წილი აზერბაიჯანის კასპის ზღვის საბადოებში. შავი ზღვის შეღვში “ანადარკო” 25 ტაბურეთილი საბადოს გეგმავს (ერთი ტაბურეთილი ა 30-35 მილიონი დოლარი ჯდება). მთლიანი სამუშაოს ჩასატარებლად კომპანიას ერთი მილიარდი დოლარი ესაჭიროება. ასე რომ, “ანადარკო” ინვესტ ინვესტირებს, რომლებიც მასთან ერთად ფინანსურ რისკს გაიზიარებენ თბილისი ინველუმებს, რომ, ამერიკულ კომპანიასთან ერთობლივი პროექტის წარმატებული განხორციელების შემთხვევაში, დამატებითი მოზიდვას უცხოელ ინვესტიორებს, რათა საქართველოს შავი ზღვის შეღვში დანარჩენი ნაწილის (მთლიანად - 8,900 კვადრატული კილომეტრი) შესწავლაც მოხდეს.

“ანადარკოსა” და “საქნავთობს” შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად, შავი ზღვის შეღვში აღმოჩენილ საბადოებში საქართველოს წილი 60 პროცენტს არის განსაზღვრული.

საგორნა ხაზი ამოქმედდა

უხელმძღვანელებს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადგიმდელი, რუმინულს კი - მისი კოლეგა ტუდორ მირონ მიტრეა.

შეხვედრისას მხარეები განიხილავენ ტრანსპორტის, ენერგეტიკის, საბანკო, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მეცნიერების, ტექნოლოგიისა და პრივატიზაციის სფეროებში თანამშრომლობის ფართო სპექტრს. “კავკას-პრესი”

„მაგთიკომი“ ხუთი წლისა

სოფო კინძარაძე

საიუბილეო საღამოს დანყების წინ, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, “მაგთიკომმა” აბონენტებს მობილური ტელეფონების გაშვების სათავეს. საქართველოში მობილური კავშირგაბმულობის ლიდერი კომპანია - “მაგთი GSM” ხუთი წლის გახდა. საიუბილეო თარიღი “მაგთიკომმა” თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში საზეიმო კონცერტით აღნიშნა.

საღამო “ნეოსტუდის” მიერ გადაღებული ფილმით გაიხსნა, სადაც მოთხრობილი იყო “მაგთიკომის”

შექმნის ისტორია. 1997 წელს “მაგთიკომმა” დამფუძნებელმა გია ჯოხოთაძერძივე, ამერიკულ პარტიზორთან - “მეგრომდელისთან” ერთად, საქართველოში ფიჭური კავშირგაბმულობის მეორე კომპანიას ჩაუყარა საფუძველი. ხუთი წლის მანძილზე კომპანიის ბიზნესში 140 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. დღეისათვის “მაგთიკომის” მომსახურებით 240 ათასი აბონენტი სარგებლობს საქართველოში. “მაგთიკომის” სიგნალი საქართველოს ტერიტორიის 95 პროცენტზე მეტს ფარავს, სულ ცოტა ხნის წინ კი “მაგთის” სიგნალით კოდორის ხეობა დაიფარა.

ერაყში საკმაოდ ნაყოფიერად მოღვაწეობდა შედარებით მოძიერი ნავთობკომპანია “სლავენფიქტი”, თუმცა ბოლო დროს მან შედარებით დათმო პოზიციები და უარი თქვა ადრე დაგეგმილ ზოგიერთი ოპერაციის განხორციელებაზე. მოსკოვის ეკონომიკური ინტერესები ერაყში მხოლოდ ნავთობით არ შემოიფარგლება. ბოლო 10 წლის განმავლობაში ბაღდადმა დიდი რაოდენობით შეიძინა რუსული წარმოების სხვადასხვა მანქანა-დანადგარები, რომელთა საერთო ღირებულება 4 მილიარდი დოლარი შეადგინა. იაფფასიან რუსულ საჰაერო-სასივრცელო მნიშვნელობა ენიჭება ერაყისათვის, რომელსაც თავის მეზობლებთან საერთოდ არა აქვს (ყოველ შემთხვევაში, არ ჰქონდა აქამდე, სანამ, აშშ-ს ჯინაზე, საუდის არაბეთში მასთან კონტაქტს დამყარებდა) სავაჭრო ურთიერთობები. ჰუსეინის იმდენად გაულტნა მოსკოვისაგან ასეთი მხარდაჭერა, რომ რამდენიმე თვის წინ თავის ჩრდილოელ მეარეებს პირდაპირ მოსთხოვა ერაყის წინააღმდეგ გაეროს მიერ დაწესებულ სანქციებზე სეპარატულ უარის თქმა და ბაღდადთან

„იბერა-ჭორჭიას“ ჩამოყალიბება პირველ მაისამდე უნდა დასრულდეს



დავით ელიაშვილი

პირველი გავარდნიდა

აკაკი ზოიძე: “იტერა-ჯორჯიას” შექმნით ორივე მხარეა დანიტრესებული. ქართული მხარის მთავარი ამოცანაა, შეიქმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ზამთარში გაზის სტაბილურ მოწოდებას. თანაც ისე, რომ გაზ-მომარაგების სექტორი მთლიანად “იტერამ” არ გააკონტროლოს. ხელშეკრულებაში ჩვენ ჩადგით პუნქტს: თუ გაზის მოწოდების უფრო იაფი წყარო გამოჩნდება, ერთობლივი საწარმო ამ გაზს იყიდოს.

საქართველოს მთავრობას რეალურად უნდა ჰქონდეს გაზსადენების რეგულირების გარანტია. “იტერა” ერთობლივ საწარმოში ჩადებს “საქგაზსა” და “საქგაზის” ქონებას, რომელიც, 19 მილიონ დოლარამდე ღირს. ანალოგიურად, 19 მილიონი იქნება სახელმწიფოს წილიც.

გია თოდუა: თავდაპირველად, “იტერა-ჯორჯია” 10 ათასი ლარის ოდენობის საწვდომი კაპიტალით დაფუძნდება. შემდეგი ეტაპზე მოხდება “საქგაზისა” და საქართველოს სახელმწიფო წილის მქონე გაზგაზნაწილებელი კომპანიების ქონების აუდიტი, რის შემდეგაც ამ ქონებას საწვდომი კაპიტალი წელ-წელ შეიტანენ.

თამაზ პატარიძე: იმის გამო, რომ მიიღო ეს პროცესი დროში აუცილებლად გაიწვლება.

მოხდა შეთანხმება, დაფუძნებულიყო ერთობლივი საწარმო და მომავალი წლის პირველ მაისამდე დასრულებულიყო კომპანიის საწვდომი კაპიტალი შესატანი ქონების აღწერა. მანამდე კი ურთიერთობა “იტერასთან” ძველ სქემით გაგრძელდება.

ლიანა ჯერგულიძე: გამოდის, რომ ერთობლივი კომპანიის ჩამოყალიბების პროცესი ვერაფრით დაუკამშირდება ზამთარში გაზით მომარაგების საკითხს.

თამაზ პატარიძე: გაზით მომარაგება ქონებრივ საკითხს არ უკავშირდება. თუმცა, ამჟამად მიმდინარეობს იმ პრინციპებზე შეთანხმება, რის საფუძველზეც მოხდება ჯერ ერთობლივი კომპანიის დაფუძნება და შემდეგ მის საწვდომი კაპიტალი შესატანი ქონების საკითხის გადაწყვეტა.

აკაკი ზოიძე: პრინციპების შეთანხმებას და ერთობლივი კომპანიის დაფუძნების შემდეგ ამ საწარმოში ქონების შეტანის საკითხი სამ წელსაც რომ გაგრძელდეს, ამას ჩვენი ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელობა უკვე არ ექნება. ერთი რამ კი დღესვე შეიძლება გითხრათ: საქართველო არ ამირებად საზოგადოების სექტორისთვის საგადასახადო შეღავათების შემოღებას. სამაგიეროდ, განვიხილავთ ამ სფეროს სუბსიდირების საკითხს. ისე კი, ვანა შეიძლება იმაზე მსჯელობა, რაც შეფასებული არ არის? უფრო სწორად, ორივე მხარის ქონება კი არის შეფასებული, მაგრამ უნდა მოხდეს გადაფასება. ეს არის მიზეზი იმისა, რომ მხარეებს შორის გაფორმებული ოქმში არ არის “თბილ-გაზი” და არც სხვა საწარმოები არ არის ნახსენები.

დღეს განსაზღვრულია მხოლოდ წილების პროპორცია - 51 პროცენტზე ექნება “იტერას” და პირველად ერთობლივი კომპანიის საწვდომი კაპიტალი ჩადებს 5100 ლარს, 49 პროცენტი კი - საქართველოს მთავრობას, რომლის შენატანაც 4900 ლარი იქნება.

ერთობლივი საწარმოს შექმნით რამდენიმე ამოცანა დავისახეთ. ამ კომპანია უპირველესად, უნდა მოუწოდოს საქართველოში გაზის სადისტრიბუციო ქსელს.



თამაზ პატარიძე

გია თოდუა: ერთობლივი კომპანიის შექმნა ინსტრუმენტი იმისათვის, რომ დავიცვათ ეროვნული ინტერესები, არ მოხდეს კომპანიის საწვდომი კაპიტალი ქონების ჩაღის ფასად შეტანა და შემდგომში მასზე უფლებების დაკარგვა.

აკაკი ზოიძე: გარდა ამისა, საწყის ეტაპზევე უნდა მოგვარდეს საწარმოს ფინანსური საკითხები და დიდოს მეთანხმებები შევალეებთან და კრედიტორებთან. ეს რთული პროცესია. ამდენად, იგი ორ ეტაპად გაყავით: პირველი, ესაა პრინციპების შეთანხმება, რაც შეეხება გაზის მოწოდებას, საფასურის ამოღებას და გაზმომარაგების სისტემის რეგულირებისთვის აუცილებელი თანხების მოძიებას, ამ ეტაპზევე მოხდება ერთობლივი საწარმოს დაფუძნება, რომელსაც არავითარი ქონება არ ექნება. მეორე ეტაპზე მოხდება საწვდომი კაპიტალი ორივე მხრიდან ქონების შეტანა, რათა მოხერხდეს გრძელვადიანი ინვესტიციებისთვის თანხების მოძიება. ამ საწარმოს არავინ არ მისცემს შეღავათიან კრედიტს, თუ მას ქონება არ ექნა. 10 ათასი ლარის ოდენობის საწვდომი კაპიტალის მქონე მშპ-ს სერიოზულ დაფინანსებას არავინ გამოუყოფს. საბოლოო ხელშეკრულების დამუშავება კი, როგორც უკვე ითქვა, მომავალი წლის პირველ მაისამდე უნდა დასრულდეს. თუმცა, თუ მანამდე საერთო პრინციპებზე შეთანხმება ვერ მოხერხდა, მაშინ ერთობლივი კომპანია არ შეიქმნება და, ბუნებრივია, მის საწვდომი კაპიტალი არც ქონებას შეეძლება. “იტერასთან” კი მოლაპარაკება სხვა ქრლიში წარმართება. სხვათა შორის, არც ისაა გამორიცხებული, რომ “იტერამ” დახმარება ერთობლივი კომპანიის შექმნის გარეშეც აღმოგვიჩინოს და ზამთრის დადგომამდე მოხერხდეს “თბილგაზის” ქსელის პირველადი რეგულირებისთვის თიხი-ხუთი მილიონი ლარის ოდენობის კრედიტის ერთობლივად მოზიდვა.

დავით ელიაშვილი: მოლაპარაკების პროცესი ძალიან დაძაბულია მიმდინარეობს. მან დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია და ამიტომაცაა, რომ ყველა დაფუძნის განსაკუთრებული სიფრთხილით ვეცდებით.

ლიანა ჯერგულიძე: კიდევ ერთ საკითხზე მინდა ყურადღების გამახვილება. ცნობილია, რომ “იტერას” საქართველოს საწვდომად 1000 კუბური მეტრი გაზი 60 დოლარად მოაქვს. თბილისში მომხმარებელი კი ორივერ მეტს იხდის. წესით, “იტერასთვის” გაზის საფასურის გასტუმრების პრობლემა არ უნდა იდგეს, რადგან ფასი საზღვრიდან მომხმარებელმავე ორივერ იზრდება.

დავით ელიაშვილი: ამოღების პროცესი მოწესრიგებული რომ იყოს, საქართველოსთან “იტერას” პრობლემა იმეტი არ ექნება. ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება გაზის რეგულაციასა და ადრეცხვინაობას. “იტერა” სწორედ ამიტომ ითხოვს, რომ ერთობლივი საწარმოში წილების პროპორცია 51/49-ზე იყოს, რადგან სწორად “იტერა” აიღებს ამ პრობლემის მოგვარებაზე პასუხისმგებლობას. საქართველოს გაზგაზნაწილებელ სისტემაში წარმოქმნილი გორდას კვანძის გადაჭრა დამოკიდებულია ადრეცხვინაობის მოწესრიგებაზე. საქართველოში გაზის დადაკარგები 50 პროცენტია. წარმოიდგინეთ, რამდენად წარმატებული იქნება მათგან დაფუძნებული საწარმოები, რომლებიც ორგანიზაციის, რომელიც მინორბული პროდუქციის 50 პროცენტს კარგავს? ამიტომ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელსაც გადავდგამთ, თბილისში არსებული გაზის მოცხველების ერთიანი გამოცვლა იქნება.



ივანე ზაზაშვილი

თუ “თბილგაზის” ინფორმაციას ჩაეხედვით, თბილისში გაზის საფასურს მომხმარებელთა მხოლოდ 40 პროცენტი იხდის.

თამაზ პატარიძე: დღეს თბილისში 160 ათასი მომხმარებელია. ჩვენ ესაუბრობთ მათი რაოდენობის 400 ათასამდე გაზრდაზე. მაგრამ, ის სისტემა, რომელსაც დღეს “თბილგაზი” იყენებს, რეაბილიტაციის მოითხოვს, რადგან იგი 300-400 ათას მომხმარებელს ვერ მოემსახურება. აუცილებელია გაზის მიწოდების მთლიანი გამოცვლა.

რაც შეეხება აღრიცხვინაობის მონესრიგებას, ჩვენ მომხმარებლებთან დაგვეცხვით მრიცხველებს, რომელიც იმუშავებს მობილური ტელეფონის პრინციპით: მობრძანებით, შეგივსებთ ბარათს - გვეცხვებთ გაზი, არ გადაიხდით - არ გვეცხვებთ. ბარათი ძალიან მარტივად სისტემაა, ამიტომაც აქვს გადასახადების ამოღების გაუფიქრებელი, შეიძლება, უფრო ჩქარა მოხდეს, ვიდრე “ეი-ი-ეს თელასის” შემთხვევაში იყო.

აკაკი ზოიძე: რაც შეეხება სახელმწიფო ინტერესების დაცვას, მშპ-ს შექმნა სწორედ იმიტომ გარიგეთ, რომ, სააქციო საზოგადოებისგან განსხვავებით, მშპ-დან წილების გამოტანა შესაძლებელი იყოს, თუ რომელიმე მხარეც ვალდებულია ვერ შეასრულა. თანაც, მოუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტი 51 პროცენტის მფლობელი მწილისა იქნება, კრედიტების აღებაზე თანხმობა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს აბსოლუტურმა უმრავლესობამ უნდა გასცეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, საქართველოს მხარეზე, უნდა მივცეთ თანხმობა ნებისმიერი კრედიტის აღებაზე. ამასთან, შესაძამისი პროპორციებით მოხდება კრედიტების დაფარვაზე პასუხისმგებლობის აღება. პირადად მე სხვა საკითხი უფრო რთულად მოსაგვარებელი მგონია. საუბარია საგადასახადო შეღავათებზე, რომლის დაცვასაც “იტერა” ითხოვს.

რაც შეეხება ინვესტიციებს, რომელიც ერთობლივად უნდა მოვიზიდოთ, მისი რაოდენობა 120 მილიონი დოლარია. კომპანიის ბიზნეს-გეგმაში, ამ თანხის დახარჯვა 20 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს.

ცალკე აღნიშნის ღირსი “იტერას” მიმართ საქართველოს ვალები. “იტერა” თანახმაა, რომ ეს ვალები ერთობლივი საწარმოს საწვდომი კაპიტალით შეიქმნას. ეს საქამოდ დიდი თანხაა. თუ “იტერასთან” მოლაპარაკებას შევწყვეტთ და მას ვაღს ვერ გადაუხდით, ამ ფულს არბიტრაჟის მეშვეობით მაინც ნაგავართმევნ, დავალიანების დაფარვა კი თიხი-ხუთი წლის განმავლობაში მოგვიწევს.

გარდა ამისა, “იტერა-ჯორჯიას” ექნება ისეთი მენეჯმენტი, რომელსაც შეეძლება საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვა. დღეს თბილისის მერიას კრედიტს არავინ მისცემს. “იტერას” გაცილებით უკეთესი საკრედიტო რეიტინგი აქვს, ვიდრე თბილისის მერიას. მართალია, არსებობს ერთი გზა - “თბილგაზის” საწარმოს მართვაში გადაცემა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა მივიღოთ კიდევ ერთი - დროის ფაქტორი.

“24 საათი”: სამთავრობო კულუარებიდან გამოიწვია ინფორმაცია, რომ უკვე არსებობს “იტერასთან” გასაფორმებული ხელშეკრულების “მაგი” ვარიანტი, რომელიც საქართველოს მთავრობას “იტერასგან” მიეცემა.

გიორგი სვანიძე: მინდა დაგვარწმუნოთ, რომ დღესდღეობით არსებობს მხოლოდ ოქმი, რომელიც შედგა ერთი თვის წინ, “იტერას” წარმომადგენლე-



აკაკი ზოიძე

ბის თბილისში ვიზიტის დროს. თავად ხელშეკრულების “მაგი” ვარიანტი არ არსებობს.

“24 საათი”: ამას წინათ რუსეთის სახელმწიფო სათათბირო მიიღო დღეგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთი საქართველოს გაუმართლებლად ითვალისწინებს ელექტროენერგიასა და გაზს. ამ არგუმენტით რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს, მათ შორის, პრეზიდენტ პუტინსაც, არავითხელ უსარგებლობათ. რამდენად შეძლებს “იტერა”, დაიცვას საერთოვლო მთავრობასთან შეთანხმებული პირობები, თუ მისგან ამ პირობების შეცვლაზე ოფიციალური მოსკოვი მოითხოვს? მით უფრო, რომ მოსკოვს “იტერაზე” ზემოქმედების საკავშირეო სფეროებში ბერკეტი გააჩნია, თუნდაც, იმ თვალსაზრისით, რომ “იტერა” საკუთარი გაზის ტრანსპორტირებას “გაზპრომის” მიღებით ახორციელებს.

დავით ელიაშვილი: ამ შემთხვევაში, “იტერა” მიანდის გაზს საქართველოს თუ სხვა საერთაშორისო კომპანია, მნიშვნელობა არა აქვს. “ენერგეტიკული ქარტიით”, რომლის დაცვა რუსეთს ევალება, მოსკოვი “იტერას” ვერ შეეცვის უარს, თურქმენეთიდან საქართველომდე გაზის ტრანსპორტირებაზე.

თამაზ პატარიძე: თანაც, არ უნდა დავგვიწყდეს, რომ “იტერას” საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია ჰქვია და მასში, რუსეთის გარდა, შვეიცარიის, საბერძნეთისა და იმ სხვა ქვეყნების ინტერესები დევს, სადაც “იტერას” ფილიალები აქვს. ამიტომ მოსკოვის მხრიდან ასეთი ქმედებები გამოირიცხება.

ივანე ზაზაშვილი: ბევრჯერ ითქვა, რომ “იტერას”, როგორც გაზის მომხმარებელს, ალტერნატივა არა აქვს. უფრო ზუსტია, ვთქვათ, რომ “იტერას” ღირსეული ალტერნატივა არ გააჩნია. დღეს “იტერას” მთავრობისთვის გაცილებით უკეთესი ვარიანტის წარდგენა შეუძლია, ვიდრე იმავე “საქტრანს-გაზს”, რომელსაც ასევე შეუძლია “თბილგაზის” მოვლა. ჩვენი ინტერესია, თბილისი გაზით უწყვეტად მომარაგდეს.

“24 საათი”: სანამ საქართველოს მთავრობა “იტერასთან” მოლაპარაკებებს აწარმოებს, ხომ არ იზრდება “იტერას” მიმართ საქართველოს საწარმოების ვიზი?

აკაკი ზოიძე: არ იზრდება. ვინ ითქვა, რომ გადახდა შეეწყვიტეთ? ჩვენ მომხმარებელი გაზის საფასურს ვიხდით. ამას წინათ, კანკელარიაში გამართულ თათბირზე ითქვა, რომ უახლოეს პერიოდში დაიფარება სექტემბრის თანხა. საფარულიად, ოქტომბერში ჩვენ ამ გაგავრცელებულ ხელშეკრულებას ერთობლივი კომპანიის შექმნის შესახებ, ამ შევიწმელებით ალტერნატიულ ვარიანტს, რომლიცაც უზრუნველყოფით ზამთრის პერიოდში საქართველოს გაზით მომარაგებას.

“24 საათი”: ცოტა ხნის წინ საუბარი იყო “იტერა-ჯორჯიაში” “ეი-ი-ესის” მონაწილეობის საკითხზეც.

აკაკი ზოიძე: ჯერ ერთი, “ეი-ი-ესი” დაინტერესებულია გაზის მიწოდით თავისი ენერგობლოკისთვის. მეორეც, შესაძლებელია გადადებითან დაკავშირებული საკითხების ერთობლივი მოწესრიგება. ამ თვალსაზრისით, სასეხვით შესაძლებელია, “ეი-ი-ეს თელასთან” ერთობლივად საწარმოო ხელშეკრულება გააფორმოს.

დისკუსია უძღვებოდნენ მთა ურუშაძე და გიორგი კალანდოძე

თორნიკე ბარაკანიძე

მოგესტენებათ, ყველას არ სურს ერაყში ომის განაღდება და, უპირველეს ყოვლისა, ეს რუსეთს ეხება. მოსკოვს, ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ ტრადიციული ამბიციები და ეკონომიკისადმი ზოლმა ამოძრავებს, არამედ წმინდა ეკონომიკური ინტერესები. რუსეთის სჭირდება, რომლებიც დღენიადაგ იმაზე ფიქრობენ, კიდევ უფრო როგორ გააძლიერონ თავიანთი გავლენა ერაყში. ამიტომ ვაშინგტონის ერაყზე დარტყმის საკითხში მთელმა ევროპამაც რომ დაუჭიროს მხარი (გერმანიის ჩათვლით), მოსკოვის პოზიცია მანც ძველი იქნება - ჰუსეინის რეჟიმი ხელშეუხებელი უნდა დარჩეს.

პირველი უცხოური კომპანია, რომელიც სპარსეთის ყურეში ომის შემდეგ ბაღდადთან საქმიანი ხელშეკრულება გააფორმა, რუსეთის უდიდესი ნავთობგიგანტი “ლუკოილი” გახლდათ. ეს უკანასკნელი დასავლეთ ზურნას საბაღოზე (რომელიც ერთ-ერთ უდიდეს საიკრემო) მოპოვების 68 პროცენტს აკონტროლებს. ამ საბადოს დამუშავება საერთაშორისო სანქციებით აკრძალულია, მაგრამ ძნელი სათქმელია, ემორჩილება თუ არა სანქციებს “ლუკოილი.”

მოგესტენებათ, ბაღდადს ნებადართული აქვს გაეროს მეთვალყურეობის ქვეშ ნავთობის განსაზღვრული რაოდენობით ექსპორტირება და მის საზღვლოდ მედიკამენტებისა და საკვების შესყიდვა. ამისთვის საჭირო დენდობის ნავთობის მოპოვებასა და ექსპორტირებასაც ერაყელები რუსული კომპანია “ტატნეფტის” დახმარებით ეწევიან.

ერაყში საკმაოდ ნაყოფიერად მოღვაწეობდა შედარებით მოძიერი ნავთობკომპანია “სლავენფიქტი”, თუმცა ბოლო დროს მან შედარებით დათმო პოზი-

ციები და უარი თქვა ადრე დაგეგმილ ზოგიერთი ოპერაციის განხორციელებაზე. მოსკოვის ეკონომიკური ინტერესები ერაყში მხოლოდ ნავთობით არ შემოიფარგლება. ბოლო 10 წლის განმავლობაში ბაღდადმა დიდი რაოდენობით შეიძინა რუსული წარმოების სხვადასხვა მანქანა-დანადგარები, რომელთა საერთო ღირებულება 4 მილიარდი დოლარი შეადგინა. იაფფასიან რუსულ საჰაერო-სასივრცელო მნიშვნელობა ენიჭება ერაყისათვის, რომელსაც თავის მეზობლებთან საერთოდ არა აქვს (ყოველ შემთხვევაში, არ ჰქონდა აქამდე, სანამ, აშშ-ს ჯინაზე, საუდის არაბეთში მასთან კონტაქტს დამყარებდა) სავაჭრო ურთიერთობები. ჰუსეინის იმდენად გაულტნა მოსკოვისაგან ასეთი მხარდაჭერა, რომ რამდენიმე თვის წინ თავის ჩრდილოელ მეარეებს პირდაპირ მოსთხოვა ერაყის წინააღმდეგ გაეროს მიერ დაწესებულ სანქციებზე სეპარატულ უარის თქმა და ბაღდადთან



იფიციალური კავშირების დამყარება. ბაღდადში გარკვეული ეკონომიკური ინტერესები სხვა ქვეყნებსაც აქვთ, რომელთაგანაც უპირველესად, ალსანიშნავია საფრანგეთი და ჩინეთი. ჰუსეინი ახლა ამ ფაქტორების გამოყენებასაც ცდილობს. თუმცა, ნაკლებ საფარულია, რომ რუსეთის მხარეც მხარდაჭერა მან ვინმ







**სად ვიშოვოთ სახელმძღვანელოები**



“მესამეკლასელი ახლობელი არ გვევაზს, ამიტომ ვუყიდვ ბუნება 10 ლარად, აბა რა მექნა?” - მეორეკლასელის დედამ გადამყიდველიც დაგვისახელა, მაგრამ როცა მივედიტ,


გამომცემლებს კი უკეთ მოეხსენებათ, როგორ უნდა გაიაფდეს სახელმძღვანელოები და ამ კუთხით უნდა იმუშაონ, თუნდაც ამისთვის, ორი დაჯგუფების ნაცვლად, ერთ ასოციაციად გადაქცევა დასჭირდეთ.

ინკასატორებმა გააგრძელეს ინ-  
ფორმაცია, რომ თუკი მოქალაქე სო-  
ციალურად დაუცველი ფენის წარ-  
მომადგენელია აირზე დაწესებულ ერთ-  
ჯერად შეღავათის (წლის განმავლო-  
ბაში 870 კპბ) 14 დეკემბრამდე არ  
მიიზიარეს, ბუნებრივი აირის მოწოდ-  
ნით რაოდენობას მომავალი წლის ეე-  
ნარ მიიღებს. ეს ცნობა "თბილვა-  
ზის" გენერალურმა დირექტორმა  
გაზბანკი (გაზამცე) დავგვიასტურა.  
არადა, აღნიშნული შეღავათის შესა-  
კვეთ ინფორმაციამ მოქალაქეთა გი-  
რეკულ ნაწილად დაგვიანებით მი-  
აწინა. ამიტომ უმეტესი ნაწილი  
"თბილვაზში" გვიან დარეგისტრირ-  
და და უფასოდ კოუჩინი 870 კპბ  
ბუნებრივი აირის გახარჯვაც გვიან  
დაინიჭა. ამის გარდა, ქალაქის მოსახ-  
ლეობას ბუნებრივი აირი თვითონ  
არ მიწოდებოდა. ასე რომ, წლის ბო-  
ლომდე კუთვნილი შეღავათის ათე-  
ლიბად ცოტა თუ შეძლეს. გამოდის,  
რომ ხელისუფლება მოსახლეობას  
არაპოებს და მობირბოლ მოვლავს

“აწინაშეული შეღავათისთვის ცენტრალურმა ბიუჯეტმა და პრეზიდენტის ფონდმა 9 მლნ. 300 ათასი ლარი ერთიანად გადმოგვირცხეს. აბნუნეტთა რაოდენობა, ვისაც ეს შეღავათი ეკუთვნის, “ეი-ი-ს თელასის” სოციალურად დაუცველ აბონენტთა რაოდენობის მიხედვით განისაზღვრა, ოღონდ ამ სისა არავაზიფიცირებულ რაოდენობა მცხოვრებ მოქალაქეებ გამოაკლდა. ამიტომ აბონენტთა დავიგინებულ რეგისტრაციის ჩვენთვის ხელი არ შეუძლია. თანხა სამარისია. აქედან, ჯერჯერობით, 4 მლნ ლარი ათვისებულია და თუკი მოქალაქეები კუთვნილ 870 კამოს წლის ბოლომდე ვერ გასარჯვენ, პრობლემა არ იქნება, ბუნებრივი აირის მოუწყაბეგელ რაოდენობას ამოვად ნელს მიიღებენ. მთავარია, “თბილგაშში” აღრიცხვაზე ნოს ბოლომდე დადგენი, – განცხადებდა ლაღთ ჯორჯაჩანაშვილი.

აღნიშნული შედეგების დაგეგმვა-  
ბის შესახებ პრეზიდენტის ბრძანე-  
ბებზეა ამა წლის გაზაფხულზე გა-  
მოიცა. სოციალური დაუცველ მო-  
ქალაქებს რეგისტრაცია დროულად  
იმე გაეწერა, პრობლემები ნაკლები  
იქნებოდა. მოხსახუბოა "იბილგაზს".  
ინფრასტრუქტურა, რომ მას სათანადო  
ინფორმაცია არ გაუვრცელებია.  
თუმცა, ეს უკანასკნელი თავს დამა-  
შვად არ მიიჩნევს. "ამ შედეგების  
შესახებ ანბან რამდენიმე გაზთმს

დროულად გამოქვეყნდა. ისე, შეღავათი მათავრობამ დაანება და მოსახლეობის ინფორმირებაზეც, სწორედ, მან უნდა იზრუნოს, ეს ჩვენ არ გვეკნალებს", - ამბობს "თბილგაზი". გვერდურად დეტექტორი. არადა, სიცოცხლურად დაუცველ მოქალაქეთა "თბილგაზში" აღრიცხვის საკითხი რომ მოგვარებულიყო, მოსახლეობის ინფორმირებაც პრობლემა აღარ იქნებოდა. ამჟამად, სიცოცხლურად დაუცველი მოქალაქეები გამგეობიდან იღებენ ცნობას, რომ ბუნებრივი აირზე მუშაოთა ეკუთვნით და მიაქვთ "თბილგაზში", როცა შეიძლება თბილისის ყველა რაიონის გამგებობებს "თბილგაზისთვის" მოქალაქეთა სია პრეზიდენტის ბრძანებულების გამოსვლისთანავე გადაეცა და თუ შემდეგ რაიმე ცვლილება მოხდებოდა, პერიოდულად მიენდებინა. გამგებობები აცხადებენ, რომ ეს სიები "თბილგაზს" თვითონ უნდა მოეზოთ, თუმცა, "თბილგაზი" ინიციატივის გამოჩენას მათგან ელოდა. თავმოშუადაა კი, გაუგებრობის მიზეზი ხდება.









# კაცი, რომელსაც ზარი უხმოვდა

პირველი გავრდიდას

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ კითხვაზე პასუხი საერთოდ არ არსებობს. რამდენადაც ეს რთული შეკითხვაა ხელისუფლებისთვის და საზოგადოებისთვის - მათი პასუხისმგებლობის გამო - იმდენადვე მარტივია ყოველი კერძო ქართველისათვის. ის ადამიანები, რომლებმაც ხელში იარაღი აიღეს და თავი განირგეს (მათგან ზოგი გადაარჩა და ზოგი დაიღუპა), ძველთაძველი ინსტიქტით მოქმედებდნენ - საკუთარ სამშობლოს იცავდნენ.

■ ■ ■

“უძრაობის ხანად” წოდებულ წლებში, საბჭოთა საქართველოს პროვინციულ ქალაქში, რომელსაც უხსოვარი დროიდან ყვარელი ჰქვია, პატარა ბიჭმა სასკოლო თხზულებაში დაწერა: იმაზე ვიცნებობ, რომ სამშობლოსთვის ბრძოლაში მოეკვდეთ. წესით და რიგით, უძრაობის ხანაში ასეთი აზრები ბავშვებს თავში არ უნდა დაჰბადებოდათ. ამის შემდეგ, მეოცნებე ბიჭუნამ სულ რამდენიმე წელიწადს იცოცხლა და 18 წლის ასაკში დაიღუპა, ოღონდ, ავტოკატასტროფაში.

ჩვენი წინაპრები ამბობდნენ - ბედი სიკვდილს უნდა, თუ უნდაო!

სიკვდილის ბედმა მართლაც გულღიად გაუღიმა ერთ თითქმის ჩვეულებრივ თბილისელ ბიჭს - მამუკა კობალაძეს.

დღეს გაიმართ მისი სიოცხლი-სა და სიკვდილის ამბავს.

■ ■ ■

საქართველოში ნათელ-მირონობა ოჯახების დანათესავების ერთ-ერთი ყველაზე მიღებული ფორმაა. თითოეულ ქართველს სამი-ოთხი ნათელი მინც ჰყავს.

მამუკა კობალაძე მამაჩემის “ერთადერთი და განუყოვრებელი” ნათელი იყო. მამუკას მამა, ღირსებით გამოჩრეული კაცი - ილია კობალაძე - ნაადრევად და მოულოდნელად გარდაიცვალა. სწორედ მაშინ მისცა მამაჩემმა სიტყვა საკუთარ თავს, რომ აღარავის მონათლავდა და მამუკას შეიღოვით გაზრდიდა.

მამუკა მართლაც ნახევრად ჩვენს აჯახში გაიზარდა; თითქმის თანატოლები ვიყავით და ვგვიგორობდით. ბავშვობიდანვე ზღვა ენერგიას აფრქვევდა, ბევრს ხმაურობდა, ბევრს იცინოდა და უცნაური ნივთების გაჩუქება უყვარდა. ეს ნივთები მის ახლობლებს დღემდე შემოგვრჩა.

ეხოში “მოუნ-პაუზუნას” ეძახდნენ, რადგან გატაცებით ყვებოდა დაუჯერებელ ისტორიებს. დადიოდა საბრტის თითქმის ყველა სახეობაზე, რისი სექციაც კი თბილისში არსებობდა. ოღონდ, დიდხანს არსად ჩერდებოდა. რამდენადაც ახალ საქმეს ნიჭით და ენთუზიაზმით ეკიდებოდა, იმდენადვე ეს საქმე სწრაფად ბერდებოდა, როგორც კი წარმატებას მიაღწევდა. ყველაზე დიდხანს ფოტობელოვებში იყო გატაცებული, მაგრამ ბოლოს ერთი უკროზი შემთხვა: საკავშირო ფოტოკონკურსში გამარჯვებულს, რუსეთიდან უცნობმა გოგონამ წამოებორო წერილი გამოუგზავნა, რომელიც ასე იწყებოდა: "Дорогая Мамука!" ამ წერილმა ძალიან გავგაშთიარულა, მაგრამ ფოტოსაქმით გატაცებას სამუდამოდ დაესვა წერტილი.

კობალაძეებს შესანიშნავი საოჯახო ბიბლიოთეკა აქვთ და ერთადერთი, რაც მამუკას არ ბერდებოდა, წიგნების კითხვა იყო. თუმცა, სერიოზული განსჯები არ ახასიათებდა. ნაკითხულს ოუმორით აიტაცებდა და თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევდა, წარმოითქმის პროცესში ცვლიდა საქვეწმოდ ცნობილ ლექსებს და ამით ხშირად ართობდა სტუმრებს.

საქართველოში (და სხვაგანაც) ნიჭიერი ბავშვი იშვიათობას არ წარმოადგენს. ამიტომ, მამუკა კობალაძე იყო ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი, ერთი გამონაკლისის გათვალისწინებით: იმის შემდეგ, რაც ოჯა-



მამუკას სძინავს მშვიდად და სულ ერთი წამით. ეს წამი მშვენიერია...

ხის უფროსი გარდაიცვალა, ერთადერთი მამაკაცი - პატარა მამუკა - ექვსი ქალის გარემოცვაში გაიზარდა. ამ დიდ ოჯახში ცხოვრობდნენ მამუკას დედა, მამუკას და, ბებო, მამიდა და ორი დედა. თითოეული მათგანის მთავარი საზრუნავი იყო მამუკა და მხოლოდ მამუკა. ამან ბიჭი გაანებივრა და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩაიმი პაქრის მორევაც აღარ ევალებოდა.

ალბათ, ისიც ბუნებრივი იყო, რომ ზოგჯერ მამუკას, ამდენი მზრუნელის შემეურეს, პროტესტის გრძნობა უჩნდებოდა. პერიოდულად იგი სახლიდან გარბოდა. აი, მაშინ იწყებოდა მამაჩემის სირბილი ვაჯ-ნაღში ჩამომდგარი მატარებლების ვაგონებში და განანწყენებულ-გაქცეულ-გალაღებული მამუკას ძენა.

თუმცა, ჭკუა რომ მოემატა, გაქცევას თავი დაანება. სხვათა შორის, აფხაზეთის ომში წასვლის წინაც ყველას კაცურად დავეკმევიღობა - ბევრისადგან განსხვავებით, არ გაპარულა.

■ ■ ■

ომში წასვლა მამუკამ ბრძოლების დაწყებიდან სამიოდე კვირის შემდეგ გადაწყვიტა: კომისარიატში გამოცხადდა და მოხალისედ ჩაენერა. მისი არჩევანი ჩვენთვის მართლაც მოულოდნელი და გამაოგნებელი აღმოჩნდა ორი მიზეზის გამო.

ჯერ ერთი, მამუკა მეტისმეტად ნებიერად იყო გაზრდილი საიმოსოდ, რომ საკუთარი თავი ომისთვის გაემეტებინა. მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის მას მუუღლე და ორი პატარა ქალიშვილი ჰყავდა. ოჯახი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი იყო მატერიალურად და ვერ ვიტყვოდით, რომ თბილისიდან იგი გაუსაძლის პირობებს გაექცა (უკვე ნახევრად დანგრეულ ქვეყანაში ფორტის არაერთმა მამაკაცმა მიაშურა უშენოების და დაუმკიდრებლობის გადალახაბა).

მეორედ და უმთავრესი, რის გამოც უცნაური და გაუგებარი ჩანდა მამუკას გადაწყვეტილება, პოლიტიკური პროცესების მიმართ მისი სრული გულწრფლობა იყო.

1988 წლიდან ბევრი ქართველი აღმოჩნდა ჩართული დიდი ენერგიით გაჩაღებულ ეროვნულ მოძრაობაში. თბილისში გაუთავებელი მიტინგები და მიმშილობები დაიწყო. ყველგან რადიკალური მონოდეტები ისმოდა. 9 აპრილის ტრაგედიის შემ-

დეგ ქვეყანა ცოტა ხნით გამოთლიანდა, თუმცა, მალე ზვიად გამსახურდაის მომხრეებად და მოწინააღდეგეებად გაიხლიჩა. და ქართველებმა ერთმანეთის სისხლი დაღვარეს.

ამ თავგრუდამხვევ და გამაოგნებელ პროცესში ჩართული აღმოჩნდა ლამის მთელი საქართველო. მამუკა ის იშვიათი გამონაკლისი იყო, რომელიც მორიდან და, ჩვენი მაშინდელი ხედვით, ხაზგასმული გულგრილობით ადევნებდა თვალყურს ამ დამანგრეველ ვნებებს - არსად არაფერში მზრუნელის შემეურეს, პროტესტის გრძნობა უჩნდებოდა. პერიოდულად იგი საოცარი იყო, რადგან ბავშვობიდან ჭარბი ენერგიით და ემოციურობით გამოირჩეოდა. მაშინ კი, როდესაც გაცილებით წყნარი ტემპერამენტის ადამიანებმა ქუჩას მიაშურეს საკუთარი ქვეყნის სამსახურში, მამუკა დადინჯდა და სახლში ჩაიკეტა.

აფხაზეთის ომს საქართველო მორალურად განადგურებული და შიდა ქიშპობით დაუძლურებული შეხვდა. სწორედ მაშინ წამოდგა მამუკა ტახტიდან, რომელსაც ბოლოხანს იშვიათად როევებდა და პირდაპირ გავრამა ამოყო თავი - მარტო-მარტომ, სამშოებისა და მეგობრების გარეშე.

რამ შეაწუხა?

■ ■ ■

ყველაფერი, რაც ამის შემდეგ მოხდა, თითქოს, სხვა ადამიანს ეხება - ჩვეულებრივი, ოჯახურ სათბურში გაზრდილი ბიჭი ნაღდ მეომრად იქცა.

თბილისში დღემდე ლეგენდად ყვებიან თამაზ მეფარიშვილის განსაკუთრებული დაწინაშელების ბატალიონის ამბავს, რომელიც ქართველებისგან მიტოვებულ ვაგრაში იმდენ ხანს იბრძოდა, სანამ სრული შემაღგენლობით გუდაუთის ტყვეთა ბანაკში არ აღმოჩნდა. ტყვეობა მეომრისთვის სასახელი რომ არ არის, საბჭოეთის ყოფილმა მოქალაქეებმა რუსული ფლმებიდან ჯერ კიდევ ბავშვობაში დაივისწავლეთ. მაგრამ მე პირადად მინახავს, როგორ ეკვრით სუნიტქვა აფხაზეთის ყოფილ მეომრებს, როდესაც ამ ბატალიონის ვაგრაში ბრძოლის და ვაუკაცობის ამბავს ყვებიან.

მამუკა ოფიცერი იყო და ტყვეობის პირველსავე დღეს თამაზ მეფარიშვილთან ერთად გაიყვანეს და სახერცხოდ შემდეგ მან თავად მიამბო, რაზე ფიქრობდა, როცა დასახვეუშედა - მიზეზთა უმრავლესობა ერთობ სუბიექტურ სიბრტყეში ძევს და უშუალოდ შევარდნაძეს უკავშირდება. სწორედ საგარეო და სამინაო პოლიტიკაში გააჩნია. ამ მიმართულებით ის კრიტიკის ნაკლებობას არასოდეს უჩიოდა და ასე იქნება ამჯერადაც. დაუსრულებლად შეიძლება იმ ჩავარდნებზე საუბარი, რომელიც სახეზეა; დაკარგული ტერიტორიები, კორუფცია, კლიანების თავაშეხელობა, ეკონომიკური განვითარების პროორიტეტების არ არსებობა, მმართველობის მოუქნელი სისტემა, გაყალბებული და ჩამოლიი არჩევნები, რელიგიური შეუწყნარებლობაა, და ა.შ და ა.შ.

ყველა ამ საკითხზე პრეზიდენტის პოზიცია ბევრად უფრო სუსტია იმასთან შედარებით, რაც მან საგარეო პოლიტიკის მიმართულეებით შეძლო. პრეზიდენტი ადრეც არაერთხელ შეეცადა, შექმნილი სიტუაციის მიზეზები აეხსნა, მაგრამ

რეტად მიჰყავდათ: ეშინოდა, რომ მასზე ადრე თამაზი არ მოეკლათ და, ამის შემხედვარეს, გული არ წასვლოდა, აფხაზების წინაშე არ შერცხვენილიყო.

ეს იყო თავიდან... შემდეგ კი ისე მიეჩვია დასახერცტად გაყვანას და ისე გაშინაურდა გუდაუთის ტყვეთა ბანაკში, რომ ერთ მშვენიერ დღეს აფხაზებმა ჩუმად სახლშიც კი დაარეკინეს. ლამის მთელი თავდაცვის სამინისტრო გამალებით ეძებდა მეფარიშვილის ბატალიონის გზაკვალს, როდესაც მამუკამ სახლში დარეკა: "დედა, არ შეგეშინდეს, გუდაუთაში ვართ, ტყვეთა ბანაკში. იქნებ, ვინმეს გააგებინო ჩვენი ამბავი."

თავდაცვის სამინისტროში ამ ამბავს დიდი სიაშოვნებით ჩათვლიდნენ ბარონ მიუნჰაუზენის მორიგ ზღაპრად, სრული სიმართლე რომ არ ყოფილიყო და, თანაც, გამარწებული დედის ნათქვამი.

დაიწყო ინტენსიური მოლაპარაკებები. საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაერთნენ. ტყვეთა გაცვლის კომისიას მაშინდელი და ახლანდელი პარლამენტის წევრი გიორგი ბარამიძე ხელმძღვანელობდა. მისი მოადგილე - პაატა ზაქარეიშვილი - მამუკას ლამის ბავშვობიდან იცნობდა.

ვიდრე ჩვენ იმდეს არ ვეარგავდით, რომ კომისია თავისას მიაღწევდა და ტყვეებს გაათავისუფლებდა, კობალაძეების ოჯახში კარზე ჩვეულებრივი დაკაკუნება გაისმა. როდესაც კარი გააღეს, ზღურბლთან დაკონკილი მამუკა იდგა.

■ ■ ■

შემდეგ იგი ბავშვობისდროინდელი გატაცებით ყვებოდა გუდაუთის ტყვეობის ამბებს. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ზედაშეხედველ აფხაზებს დაუახლოვდა და დუმემაგობდა კიდევ. სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა (რომელსაც ცოლი ქართველი ჰყავდა და თავადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული), მამუკა გუდაუთიდან გამოაპარა; თან, ასეთი სიტყვები გამოაყოლა: "ომის შემდეგ ძმები ვართ, მაგრამ თუ უკან დაბრუნდები, ორივე იძულებული ვიქნებით, ერთმანეთს ვესროლო!"

ამ ადამიანის სახელსა და გვარს დღემდე საიდუმლოდ ვინახავთ, რადგან იგი ომს გადაურჩა და აფხაზეთში ცხოვრობს. ეს ადამიანი პე-

რიოდულად ახლაც რეკავს კობალაძეების ოჯახში და მათ ამბავს კითხულობს. მაშინ კი, გუდაუთიდან დაბრუნებული მამუკა გვემებს აწყობდა, როგორ დაპატიჟებდა მეგობარ აფხაზებს ომის შემდეგ თბილისში. განსაკუთრებული პატივისცემით ისხენიებდა აფხაზთა ხელილუფლების ერთ-ერთ ლიდერს - ანატოლი ანავას.

■ ■ ■

დიდად არ გავგვირვებია, როდესაც მამუკა ტყვეთა გაცვლის კომისიასთან ერთად გუდაუთაში დაბრუნდა და თავისი თანამებრძოლების გამოხსნაში მიიღო მონაწილეობა. მაგრამ იმან კი გავგაოგნა, როდესაც გუდაუთიდან შინ მშვიდობით დაბრუნებულმა, სულ ცოტა ხნის შემდეგ ისევ აფხაზეთს მიაშურა.

მამუკა კარგად ხედავდა, რომ ქართულ ჯარში არ იყო წესრიგი; რომ, ზოგ შემთხვევაში გამოუცდელიობით, უპასუხისმგებლობით თუ სხვა რამ მიზეზით, რომელიმე თანამებრძოლი არანაკლებ სამში ხდებოდა, ვიდრე მონინააღდეგე; რომ ასეთ პირობებში ომის მოგებაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა. და მაინც, იგი ფრონტის წინა ხაზს ვერ მოშორდა.

მამუკა თანამებრძოლი გუჯა კრენტაშვილი იხსენებს:

**"ჩვენს ბიჭებში მამუკა ყველაზე უკეთ ისროდა. საოცრად კონტაქტური იყო და ყველასთან უცებ მინაურდებოდა. ერთხელ დასარეკად სოხუმში წავიდა და, ამასობაში, მე სხვა ჯგუფთან ერთად ფრონტის წინა ხაზზე გამოიყვანეს. როდესაც ბრძოლიდან დაბრუნდით, მამუკა წანცვლიდა, მე - მთლად და უვნებელს - დედაშენისთვის რა უნდა შეთქვარ. ომში ადამიანის სიცოცხლე უფასურდება, მე კი მამუკას თვალში არ დამაინფილება... რაც ამ სიტყვებს კიდევ სწოლაში ვეჯირობდით. მამუკა წანცვლი იყო, ჩვენ - ფხიზლები. მაინც ყველას აჯობა. მაგარი თვალის ზომა და ჭკუა ჰქონდა. ომში წამოხტობა და შეტევაზე გაქცევა არაფერს ნიშნავს. ომში ჭკუაა მთავარი!"**

■ ■ ■

ვიდრე დამატეხებული ქართული ჯარი სოხუმს დატოვებდა, ბო-

ლო ბრძოლები რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. მამუკა კობალაძე, თავის სამ მეგობართან ერთად, 23 სექტემბერს დაიღუპა, როდესაც, ალყიდან გამოსული, უკან დაბრუნდა და ალყაში დარჩენილი თანამებრძოლების გამოხსნას ცდილობდა. ალყის გარღვევა მოხერხდა და ყველა მეომარი უვნებლად გადაარჩა, მათ საშველად მისული მამუკა და მისი მეგობრები კი დაიღუპნენ. სიკვდილის შემდეგ ოთხივე მათგანს - გონერ პავლიაშვილს, ივანე ხეტემვილს, ლევან ქართლელშვილსა და მამუკა კობალაძეს - უმაღლესი საბრძოლო ჯილდო, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა. მამუკას და მისი მეგობრების გარდაცვალებიდან დღეს მეცხრე წელი შესრულდა.

■ ■ ■

თანამებრძოლებმა ბიჭების ცხედრებს სწორედ მაშინ მიაგნეს, როდესაც მათ სოხუმის მიმდებარე სოფლის - მაჭარკის - სამშო საფლავში ასვენებდნენ. ამ შემთხვევის წყალობით, ჩვენ არ დავკარგეთ მამუკას საფლავი, მაგრამ... კიდევ გვაქვს და არც გვაქვს...

ქართველ მეომართა ცხედრების გადმოსვენებას აფხაზები დიდ პრობლემებს უქმნიან. საქართველოს ხელისუფლება კი, მაინცდამაინც არც ცოცხლებზე ზრუნავს და, მით უმეტეს, არ ზრუნავს გარდაცვლილებზე. გადმოსვენების საკითხზე სახელმწიფო კომისია მუშაობს და მისი საქმიანობის შედეგი ასეთია: აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეული 1200 ადამიანი და მათ შესახებ არაფერია ცნობილი. ბაბუმერას სამშო საფლავიდან გადმოსვენებულია 59 მებრძოლის ცხე-დარი, გადმოსასვენებელია კიდევ 31. პროცესი კარგა ხნის წინ გაიყინა. მაჭარკის სამშო საფლავი თავის რიგს ელის.

■ ■ ■

აზა დეიდა, მამუკას დედა, თავი-სი ერთადერთი ვაჟის საფლავზე ოცნებით ცხოვრობს.

იგი თითქმის ყოველ შაბათ-კვირას წარვა-ლოცვას ესწრება იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში, რომლის წინაშეააღმშენი, დეკანოზი მამა რვეაზი - უაღრესი ღირსებით შემკული ადამიანი - ზუსტად მამუკას ხნისაა. როდესაც მამა რვეაზი წირვისას მიცვალებულებს იხსენებს, აზა დეიდა ყოველთვის ტირის.

ერთხელ, წირვის შემდეგ, დეიდა აზა მამა რვეაზს მიუახლოვდა და გულისშემძვრელად სთხოვა: "შომეფერე, მამაო!"

■ ■ ■

1992 წელს თავდაცვის სამინისტროს გახტო "ლემის" კონკურსში გაიმარჯვა ფოტოსურათმა, რომელსაც ჰქვია "წუთშესვენება წინა ხაზზე". იგი გავრამია გადაღებული. უკანა პლანზე საბრძოლო იარაღები და ბარიკადები მოჩანს, წინა კუთხეში კი, დასარწმუნე სკამზე, ჩასძინებია მეომარს, რომელსაც მუხლზე ავტომატი უდევს.

ფოტოზე ასახული მეომარი მამუკა კობალაძეა.

ფრონტის წინა ხაზზე ძლიი არ შეიძლება. მამუკასაც წუთით სძინავს, ოღონდ - მშვიდად: რადგან მან არ იცის, რომ სურათს ეთებენ; არც ის იცის, რომ რამდენიმე დღეში აფხაზები გარკას აიღებენ და მას გუდაუთის ორმისგანახუთდღიანი ტყვეობას ერიბს; მის მშვიდ ძილს არც იმის ცოდნა აკრთობს, რომ ტყვეობიდან დაბრუნებული ისევ სოხუმში გაქცევა და ქალაქის დაცემაშდე თათი დლით ადრე მისი სული სამუდამოდ შეუერთდება ზეციურ საქართველოს.

ჯერჯერობით კი (მადლობა ღმერთს!), მამუკას სძინავს - მშვიდად და სულ ერთი წამით. ეს წამი მშვენიერია...

# პრაზიდიტის საპარლამენტო ანბარიში - მომავლის ხაღვა თუ მომავლის შიში

პირველი გავრდიდას

მოღვაწეობის შეფასებას სწორედ ახლა და არა - თუნდაც, ერთი ან ორი წლის შემდეგ? კითხვა მეტად რთულია იმისთვის, რომ ცალსახა და ერთგვაროვანი პასუხი გავცეს. უნდა ვიფიქროთ, რომ მუდმივ კრიტიკის ქარცეცხლში მოგვიშვერდნადისთვის ის პრინციპული ეტაპი დადგა, რომელიც ბევრად განსაზღრავს მის მომავალ საქმიანობას.

90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც შევარდნაძე უბრუნდა საქართველოში, მას ზარცე უმაგრებდა უზარმაზარი კოზირი - ის პოტენციური პოლიტიკური რესურსი, რომელსაც ადამიანები მის ფიგურაში ხედავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ ბევრი ცდილობდა, დაეკნინება ეს ფაქტორი, ქვეცნობიერად უმრავლესობა იმედოვნებდა, რომ შევარდნაძეს ხელისუფებობა ქვეყნის ზუსტი სამომავლო სტრატეგიის

განსაზღვრა. სწორედ ამან შეაძლენინა შევარდნაძეს ის, რომ, უამრავი წარუმატებლობის და მარცხის მიუხადავად, მან შეძლო არა მარტო ხელისუფლების შენარჩუნება, არამედ ის სისტემაც ჩამოაყალიბა, რომელსაც დღეს ხშირად კოლექტიურ შევარდნაძეს უწოდებენ. მიუხედავად საგარეო პოლიტიკური ზიგზაგები-სა, შევარდნაძემ საბოლოოდ მაინც მოახერხა დასავლეთის ინტერესთა სფეროში საქართველოსთვის სივრცის შექმნა. ის რომ, რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობების პირობებში, დასავლეთი და, უპირველეს ყოვლისა, შეერთებულ შტატებს მკაფიოდ გამოეკეთილო პოზიცია უჭირავს, სწორედ ამის დასტურია. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ცერემონიალი კი საბოლოო აკორდი იყო იმ პროცესისა, რომელიც წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. ბუნებრივია, როდესაც პრეზიდენტი თავის მოღვაწეობაზე

ისაუბრებს, ამ ფაქტორებს მუდმივად გაუსვამს ხაზს, თუნდაც იმიტომაც, რომ შეეცადოს, გადაფაროს ის წარუმატებლობები, რომელიც მას სამინაო პოლიტიკაში გააჩნია.

ამ მიმართულებით ის კრიტიკის ნაკლებობას არასოდეს უჩიოდა და ასე იქნება ამჯერადაც. დაუსრულებლად შეიძლება იმ ჩავარდნებზე საუბარი, რომელიც სახეზეა; დაკარგული ტერიტორიები, კორუფცია, კლიანების თავაშეხელობა, ეკონომიკური განვითარების პროირიტეტების არ არსებობა, მმართველობის მოუქნელი სისტემა, გაყალბებული და ჩამოლიი არჩევნები, რელიგიური შეუწყნარებლობაა, და ა.შ და ა.შ.

ყველა ამ საკითხზე პრეზიდენტის პოზიცია ბევრად უფრო სუსტია იმასთან შედარებით, რაც მან საგარეო პოლიტიკის მიმართულეებით შეძლო. პრეზიდენტი ადრეც არაერთხელ შეეცადა, შექმნილი სიტუაციის მიზეზები აეხსნა, მაგრამ

უშედეგოდ - მიზეზთა უმრავლესობა ერთობ სუბიექტურ სიბრტყეში ძევს და უშუალოდ შევარდნაძეს უკავშირდება. სწორედ საგარეო და სამინაო პოლიტიკის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებია ის მთავარი მიზეზი, რაც შევარდნაძეს დღეს საეტაპო გამოსვლისკენ უბიძგებს. მისთვის სწორედ ახლაა ყველაზე კარგი მომენტი, რათა საგარეო სფეროში მიღწეული შედეგებით შეეცადოს, გადაფაროს დღეს არსებული პრობლემები და თავიდან აიცილოს მოგელენათა ისეთი განვითარება, რომელსაც ხან დესტაბილიზაციად მოიხსენიებენ, ხან - გადატრიალებად, ხან კიდევ რევოლუციად. თავის მხრივ, სანაწინააღმდეგოს შეეცდებიან მისი მოწინელები და ჩვენც, ალბათ, კიდევ ერთხელ ვიხილავთ პოლიტიკურ დებატებს, სადაც ბევრი იქნება პათეტიკიც, ბრალდებეიც, ორატორული ხელოვნების ზოგი წარმატე-

ბული და ზოგიც წარუმატებელი გამოცდილება.

ბუნებრივია, საზოგადოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია გასული წლების შეფასება, მაგრამ ათავის უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რა გველის მომავალში. თუ პრეზიდენტს სურს, რომ მის გამოსვლას მართლაც საეტაპო დატვითვა ჰქონდეს, წარსულთან შედარებით, გაცილებით მეტი დრო უნდა დაეთმოს იმაზე საუბარს, თუ რის გაკეთებას აპირებს ის დარჩენილი ორწლიან ხეობის განწავლობაში. თუმცა, არა თი განვითარება, რომელსაც ხან დესტაბილიზაციად მოიხსენიებენ, ხან - გადატრიალებად, ხან კიდევ რევოლუციად. თავის მხრივ, სანაწინააღმდეგოს შეეცდებიან მისი მოწინელები და ჩვენც, ალბათ, კიდევ ერთხელ ვიხილავთ პოლიტიკურ დებატებს, სადაც ბევრი იქნება პათეტიკიც, ბრალდებეიც, ორატორული ხელოვნების ზოგი წარმატე-

ნეობის მშვიდობიანად (მის პირად ხელისფულებას რომ არაფერი დემუქროს) ჩამოხრთობაზე კი არ ზრუნავს, არამედ - ედუარდ შევარდნაძისთვის სულერიით არ არის, თუ რა იქნება მისი მმართველობის შემდეგ. საზოგადოებამ ნათლად უნდა დაი-ნახოს, რომ პრეზიდენტიც გრძნობს შექმნილი სიტუაციის არაორდინალურობას; გრძნობს 2003 და 2005 წლების არჩევნების მნიშვნელობას; გრძნობს, რომ მისი მოღვაწეობის შეფასება მომავალში იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი ფორმა მიიღებდა საქართველოში ხელილუფლების ცვლილება.





ომზედსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მახათოზით.  
ტელ.: 20 24 24  
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: [nladaria@24hours.ge](mailto:nladaria@24hours.ge)



## ნოდარ ლადარია

რა ექნა? ამ ბოლო დროს საშინელ კონფლიქტში ვარ ჩათრეული. კაცმა რომ თქვას, ამაში არაფერია საშინელო, რადგან კონფლიქტი, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლეს ნიშნავს, რადგან კონფლიქტის გარეშე სულს ვერ გაიმდიდრებ და შემოქმედებასაც ვერ ეზიარები. მაგრამ კონფლიქტია და კონფლიქტი... მე სულ სხვა რამ დამემართა: ყოველ დღე, გაზეთის გადამლისას, ველოდები რაღაც მოულოდნელს, რაღაც მნიშვნელოვანს, რაღაც ისეთს, რასთანაც კამათი მოგიწოდება კაცს. მაგრამ არა და არ მოდის ეს ნანატრი დღე. კამათის საშუალება არა მაქვს და იძულებული ვარ “ვალდავო”. ეს კი ერთობ მოსაწყენი საქმეა და ვერც მე და ვერც შენ, ჩემო განათლებული მკითხველო, ვერ გაგვამდიდრებს.

რას იზამ? — მოვალეობა მაქვს ასეთი. ამიტომაც დამეწყო კონფლიქტი მისწრაფებებსა და მოვალეობას შორის.

დღესაც მეტად მარტივ რამეებზე უნდა გესაუბროა...

მგონი ნიკოლაი გოგოლმა თქვა, რომ თუ ადამიანი შეძლებს საკუთარი ბონის ან თუნდაც ერთი თოთხის დალაგებულად აღწერას, მისგან შეიძლება მწერალიც გამოვიდეს. ამ ნაოქვამში ნამდვილად ჩანს დიდი ოსტატი, რომელსაც თავისი ხელოვნების ნიაღში შავი სამუშაოს შესრულება არ ეთავალება. მეორე მხრივ, განა ვინმეს ჟურნალისტზე მეტად მოეთხოვება სტილის სინათლე და ამბის გადმოცემის სიცხადე? თხრობამ ხომ უპირველესად ის უნდა გაგვაგებინოს, რა მოხდა და როგორ. ამის მაგიერ ხშირად ხდება, რომ ავტორები გარეგნულ ზიზღლ-პიპიტეებს გადაჰყვებიან ხოლმე ჩვეთვის რაღაც სრულიად არასაინტერესო და ზედმეტი მზინის მისაღწევად. დღეს უმეტრად ისეთი ტექსტები უნდა წარმოვადგინო, საიდანაც ვერა-ნაირად გამოიტანთ აზრს მოვლენის არსზე, მაგრამ საკმაო წარმოდგენა შეგექმნებათ თვით ავტორთა ემოციურ თუ ინტელექტუალურ სამყაროზე. უბედურება ისაა, რომ საგანეთო სტატიის ყანრი მთლად ბელეტრისტიკა არაა და რაც შეიძლება ნაკლებად უნდა შვავდეს მისი შემოქმედის ავტოპორტრეტს...

## კინო-ზადაგი და რესტორან-ზარდკი

ანა კორძაია-სამადაშელს არასოდეს აკლდა ემოციურობა. ძალიან სასიამოვნოა, როცა ტექსტი, გარდა იმისა, რომ გამცნობს, გარდაცვლის კიდევ მაგრამ ამ ბოლო დროს ემოციურობის მოხლეკვება სახიფათო ნიშნულს გამოასცა და, შეიძლება ითქვას, რომ საცდამენტების ისეთი მენეჯერი ჩამოვნა, რომლის მსგავსი ჩვენი ზედკრული სამშობლოს მკვიდრს მხოლოდ განახლებული ემიგრაციის წინ თუ

მოედება. ო, არა, ჭორების მოყვარულებს შეუძლიათ მშვიდად იძინონ: ანა კორძაია-სამადაშვილი ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენი თანამოქალაქე. მაგრამ რა ვუყოთ იმ ნეტარ განწყობას, რომელიც გამოსჭვივის, მაგალითად, მისი სტატიიდან *სალამოს კინოში წავიდეთ* (17 სექტემბერი)? კინოთეატრ “რუსთაველის” რეკლამა თუ იყო ჩაფიქრებული, უნდა ვაღიარო, რომ არ გამოვიდა. უზრალოდ, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ კინოთეატრის ხელმძღვანელობას სწორედ რომ კინოსაქმეები არ მისდის კარგად, რის გამოც ამ წარუმატებლობის კომპენსაციას ცდილობს სხვადასხვა საკეც-გასართობი ელემენტების შემოტანით. აბა, სულ ხომ არ აიღებს ხელს დანყებულ ბიზნესზე? სინამდვილეში კი რა ხდება? ფილმები, რომლებიც გოგი ვახაჩიას კალმის ღირსნი შეიქნა, კინოთეატრმა “ამირანმა” მოგვანოდა, რო-

ვუშვათ, მაგალითად, რომ პოპ-ვარსკვლავი სულიერებისაგან დაცლილი ფენომენია. ალბათ, არიან ადამიანები, რომლებიც ასე ფიქრობენ და მათ ამას ვერ აუვურძალავთ. მაგრამ პოპ-ვარსკვლავიც კი ვერ იქნება უსულო არსება, ამიტომაც განსაზღვრებად “ქართველს” მოითხოვს და არა “ქართულს”. მაინც რა დაუშავეს ავტორს “ძველი სახლის” დღეობაზე მინვეულმა ქართველმა პოპ-ვარსკვლავებმა, ქვეცნობიერიდან მაინცდამაინც ეს შეცდომა რატომ ამოტივტივდა? მოდით განვგარძოთ კითხვა: თურმე ერთ-ერთმა ვარსკვლავმა “იდაყვებით ყოჩაღად გაიკაფა სცენისკენ გზა და თავისი გამოსვლა რუსული სულშიჩამწვდომი სიმღერით დაასრულა”. უნდა გაგიმხილოთ, რომ ქ-ნი კორძაია-სამადაშვილი თავისი ძირითადი სპეციალობით რუსული ფილოლოგია (ამ შემთხვევაში “რუსული” და არა “რუსი”), ამიტო-

ვად ცნობილი უნდა იყოს, რას ნიშნავს ბადი-ბერი. დათვის ქანდაკება რომ უნდა იყოს, ამას გონების გარკვეული დაძაბვის შედეგად ვხვდებით. მაგრამ არაფერი ვიცით მისი ისტორიის შესახებ. ან ის მაინც გაგვაგებინონ, რა განსხვავებაა ბადი-ბერსა და თედი-ბერს შორის. ან ის გვითხრან, მხატვრები ამ ქანდაკებებს თვითონ აკეთებენ, თუ მათი საქმე მართო მოხატვაა. ან კონკურსის პირობებზე მოგვითხრონ რამე. არა, ბატონო. ამისათვის არა სცალია მასალის ავტორს, აბა, იმისთვის ხომ არ მოცდება ბერლინში მყოფი, ჩვენ უბედურებს რამე რომ გაგვაგები-ნოს! მთავარი ისაა, რას იტყვის გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოშკა ფიშერი. არც არაფერს ამბობს ის დალოცვილი: ყველა ქვეყანას საკუთარი კულტურა, საკუთარი ისტორია და ხასიათი აქვსო, — ეს ხომ ისედაც ვიცოდით, შე დალოცვილო.



მელიც ზაფხულის პაპანაქებაშიც არ აკლებდა ყურადღებას თბილისელ კინომატიურულებს. ეს ორი კინოთეატრი რომ მოგვადართო, რეპერტუარით, კომფორტითა და გემოვნებით, ყველა ამ “ნომინაციაში” უპირატესობა ნამდვილად “ამირანს” უნდა მივანიჭოთ. ძნელი დასაჯერებელია, რომ არაკინემატოგრაფიული ელემენტების ნილის გაზრდით შესაძლებელია კინოგაქირავების ლიდერობას მიაღწიო.

როგორც ეტყობა, გულჩვილმა და მგრძნობიარე ანა კორძაია-სამადაშვილმა დამარცხებულის მხარე დაიჭირა. აი ასე მოხდა, რომ თხრობამ ვერ გადმოსცა სინამდვილე, იმის გამო, რომ ავტორის გრძნობებმა დააბრკოლა. მიუხედავად იმისა, რომ კორექტორმა სტატიის ტექსტი სასვენი ნიშნების ლამის ორმაგი კომპლექტით აღჭურვა, სარკულაშო მიზნებს ვერც ამან უშველა.

გადავინეროთ პირვეარი და განვგარძოთ. 18 სექტემბერს ჩვენმა ავტორმა, რომელსაც ამ ბოლო დროს საოცარი ნაყოფიერება დაეტყო, კიდევ ერთი სტატია გამოაქვეყნა: *გიოლოცათ დაბადების დღეს! სტატია რესტორან “ძველი სახლის” ოუბილეს ეძღვნება*, უფრო ზუსტად კი საოუბილეო წვეულებას. პუბლიკაციის პირველივე სტრიქონებიდან დაგვაინება კავკასიონის გადამღმდან მონოლოლი ავდრის ღრუბლები და ზღაპრულ ქვეყანაში ამოვყავით თავი, სადაც “მანქანებიდან სადღესასწაულოდ გამოწყობილი ქალები გადმოდიოდნენ, შემოსასვლელში არღრა-ნი უკრავდა, შამფურზე მთელი ხბო იყო წამოგებული”. ჯადოსნურობის ეფექტს ისიც გვიქმნის, რომ თონიდან “იქროსფრად დაბრახული შოთები ოქროვდა” — დაიხ, ვინმე კი არ ყრიდა, თვითონ იყრებოდა. სულაც არ მოუწოდებ იქითკენ, რომ ავტორებმა მხატვრული ხერხები და რიტორიკული ფორმები არ გამოიყენონ. უზრუნველ, ხერხის არჩევა მონშობს, რომ ზღაპრულ ქვეყანაში ყოფნის ეფექტი სრულიად შეგნებულადაა შექმნილი. ანას იშვიათად ეშლება რამე!

“რესტორნის დირექტორი, ბატონი დათო სანაძე, ყველას ისე ეგებებოდა, ალბათ ყოველ მისულს გვონა, ჩემზე ძვირფასი სტუმარი არავინ მოსულაო”. ნეტა რა გაუჭირდა ბატონ დათო სანაძეს, ასეთი გულბერყვილი ხალხი რომ დაუპატიჟია, თავისი დაწესებულების ოუბილეზე? იქნებ ამიტომ შერცხდა თვითონაც და დავით ზათაძე დათო სანაძედ მოგვევლინა ტექსტში?

ცოტა მოგვიანებით ვკითხვალოთ, რომ “ძველ სახლში” საზოგადოება დაცულად გრძნობს თავს. ნუთუ რესტორანი ჩვენს დედაქალაქში იმდენად სახიფათო ადგილია, რომ ამის დამატებითი აღნიშვნის საჭიროება არსებობს?

ზღაპრულ ქვეყანაში ყველაფერი არეულ-დარეულია. შეიძლება და-

მაც ბუნებრივია, არ მოსწონს, როცა სიტყვებს არაბუნებრივი გამოთქმით ამახინჯებენ. მაგრამ მაინც მგონია, რომ უკმაყოფილების მიზეზი სადღაც უფრო ღრმადაა...

ზეიძეშ მის-ძველისახლიც აურჩევიათ — “ნოთელ კაბაში გამოწყობილი ქერთამიანი ნატალია ბლნოვა”. მაინც რა ღმერთი გაუწყნრა ჩვენს გამოცდილ ფოტოგრაფს, ბესო გულაშვილს, ეს წარმტაცი ბაზოვანი მაინცდამაინც იმ მდგომარეობაში რომ “ჩააკტრიჩკა”, როცა სახეს სხენებული ქრა თმები უფარავს და მათ ქვემოდან მხოლოდ კვადრატული ნიკაპი მოჩანს? აქაც, უთუოდ, რაღაც ქვეცნობიერი უნდა იყოს.

ხომ გახსოვთ, კავკასიონის გააღმდამან მუქართი გადავსებულ აედრის ღრუბლებზე მოგახსენებდით. აი, ესაა მთავარი მიზეზი ჩვენი კოლეგების ფარული გაღიზიანებისა. ნუთუ ახალი ქართველები და მათზე მიბმული ჩვენი პოპ-ვარსკვლავები ასე დაშინა შორეულმა ქუხილმა, რომ წინადაწინ თავის დაზღვევა გადაწყვიტეს? უნდა დავამშვიდო: ვინმე თუ გაგიღიმა, არ ნიშნავს, რომ შენთან დაწობას აპირებს, მცეფერე ძალი კი არ იკბინება. თანაც ასე მუქთად ვერ მოიპოვებთ მათ კეთილგანწყობას, რომლებიც ერთი “პა აერადრეომუ” ვერ აპატიეს ის, ვისზედაც მართლა გიჟდებოდნენ.

კოლეგებო, ვერ რამემ გული აგი-რიათ, ნურც ვინმეს ხათრი დაგაბრკოლებთ და ნურც შემოთავაზებული ვაშმშის გამო მადლიერების გრძნობა. ჭეშმარიტება ორივეზე უფრო ძვირფასია.

## დათვერი სამსახური

თავიდან ასე წარმოვიდგინე საშუალო ქართველი მკითხველის რეაქცია: “ხევისბერი ვიცი და ეგ ბადი-ბერი რაღა დოზნანა?”. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ცვდებოდა: ქვეყანაში, სადაც საგზაო პოლიცია მანქანის სერვისებს ვერ კითხულობს (ამ ბოლო დროს კითხვა კი არ უსწავლიათ, მიხვდნენ, რომ ფულის კეთება უიმისოდაც შეიძლება), ამგვარი გართიმვის მანსი ძალიან მცირეა.

როგორც შეამჩნევდი, მკითხველო, ჩვენ სულ სხვა ავტორზე გადავდიეთ: ეს ჩვენი ბერლინელი საკუთარი კორესპონდენტია, ნინო შონია, სადაც საგზაო პოლიცია მანქანის სერვისებს ვერ კითხულობს (ამ ბოლო დროს კითხვა კი არ უსწავლიათ, მიხვდნენ, რომ ფულის კეთება უიმისოდაც შეიძლება), ამგვარი გართიმვის მანსი ძალიან მცირეა.

აქედან ჩვენი საშუალო მკითხველი მხოლოდ იმ დასკვნას გამოიტანს, რომ იოშკა ნამდვილად არაა სამი-ნისტრო სახელი... აბა, კაცო, სად, მაგალითად, ირაკლი და სად კიდევ ეგ იოშკა! თუ არ გვიჩნდა ადამიანს აშკვარი კვიმბტი აზრები გაუწნდეს, მოვახერხოთ მისი ყურადღების გადატანა საქმის არსზე. და თუ უბრალო რამეების მოყოლასაც ვერ ვახერხებთ, რჩამად დავტკბეთ დიდიწერი ცხოვრებით. ამას კაციცოვლი არ გვიხაყევდურებს: ჩვენ ხომ კეთილი ხალხი ვართ, თვითონაც ვცხოვრობთ და სხვასაც ვაცხოვრებთ.

ახლა კი ვნახოთ სტატიაში უხვად მიმოხმეული მარგალიტები:

“პროექტში არ არსებობს დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი ქვეყანა, ყველა დათვი თანასწორია”. დათვების თანასწორობაზე აღარ შეგანუხებთ, უკვე ვთქვი, რომ ჯერ უნდა ავხსნათ დათვების ამაზგი და მერე წეროთ ეგეთები. აი ბერლინში გა-ახლა რომ არ იცინა, ნამდვილად სა-ბაბია, საკუთარი თავი შემეცოდოს.

ერთი მხრივ, ქ-ნი შონია თითქოსდა მწვენივრად ერკვევა “ტოპოგრაფიულ არტში”, მაგრამ იქვე ასეთ რა-ნი იყო ოფიციალური წერილი? ტოპოგრაფიულ არტს თუ ვერაფერი გაუგე, ის მაინც ხომ იცი, მკითხველო, რომ წერილები ფიქტის ყუთით კი არა, ფოსტით მოდის.

კიდევ ერთი მარგალიტი: “პროექტის ორგანიზატორებმა, ბერლინის სხვადასხვ ოფიციალური ინსტანციებისა და უამრავი სპონსორის დახმარებით, თავიანთი იდეა შეტად უორიგინალურად შეფუთეს — United Buddy Bears”. ოჰ, ეს უამრავი სპონსორი! რაზე ხარჯავენ ფულს? — აღ-მყოფთდება საშუალო ქართველი მკითხველი, რომელსაც არაფერი აუხსნეს, და მართალიც იქნება. მასთან ერთად კი მეც ვერ გავიგე: რატომ შეფუთეს, რა შეფუთეს, როგორ შეფუთეს და რაა ამაში განსაკუთრებით ორიგინალური?

და კიდევ: “ბერლინში უკვე იყი-დება დათვებით დამშვენებული ღია ბარათები”.

კარგი, კარგი, მეტს აღარ შეგანყენ თავს, ჩემო მკითხველო, ისიც გეყოფა, რომ ჯერ ვერაფერი გაგვაგებინეს, მერე გვჩვენებს, რომ ამ გაუთანაც რაღაც კავშირი რომ ჰქონდა ამ კონკურსს, ამასაც ვხვდებით; მაგრამ ავტორმა მაინც არაფერი მოგვითხრო თვითი კონკურსის შესახებ. რატომღაც წინასწარ იგულისხმა, რომ მკითხველისათვის აუტილებ-

## ბაზეტა ისევ პოსტვაიანუ პოსტ-ყურნალიზმი

19 სექტემბერს გაზეთის მკითხველებმა მიიღეს მადი სერგებრიაკო-ვას წერილი *ბალეტში მხოლოდ ქა-ლოშვილები არიან*. ნამდვილად კი ბალეტში მხოლოდ ვაჟიმშვილები არიან, რადგანაც საქმე ეხება პეტერბურგის მამაკაცთა ბალეტს, რომელსაც ვალერი მისაილოვსკი ხელმძღვანელობს. 21 სექტემბერს კი — მისივე წერილი *ელისო ვირსალაძე “შემოდ-გომის თბილისი” პირველი საჩუქარი*. პირველ სტატიაში ავტორი ჩვე-ნამდე მოსატან უწყებას (ანუ მე-სიჯს, როგორც ახლა ამბობენ) საკუთარი ცოდნის დემონსტრირების წმიდათანმიდა საქმეს სწირავს, მეორეში, მართალია, ამაზე ნაკლებად ფიქრობს, მაგრამ სამაგიეროდ ინფორმაციის გადმოცემის უუნარო-ბას ამჟღავნებს.

ახლა ისიც ვნახოთ, რისთვის მი-ვიდა ქ-ნი სერგებრიაკოვა თეატრში: “წარმოდენის დაწყებამდე ორი რამ მაინტერესებდა განსაკუთრებით: როგორი მოირგებდნენ მამაკაცები ქალებს როლებს და როგორ მიი-ღებდა ყოველივეს თამადის ტრადიციებზე გაზრდილი ქართველი პუბლიკა”. განათლებული ადამიანისთვის სწორედ რომ ღირსეული პრობლემებია! ესეც რომ არ იყოს, იქნებ ვინმემ ამიხსნას, რას ნიშნავს ეს “თა-მადის ტრადიციებზე გაზრდილი ქართველი პუბლიკა”? ან კიდევ რამ-დეწვერ უნდა ვკითხო საჯაროდ: ნუთუ არავინ კითხულობს ნომერში გასასვლელ მასალას?!

ფიქტორბ, საჭირო აღარაა ვამტკიცოთ, რომ საქმე გვაქვს პრიმიტი-ულ-სნობური ტექსტის ნიმუშთან, რომლის ავტორს ჰგონია, რომ საქმა-რისია რომელიმე ცნებას წინ “პოსტ” თავსართი მიუწეროთ, უკვე საშინლად ჭკვიანურ რამეს მივიღებთ. ასე ჩნდება პოსტ-ქორეოგრაფია და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოსტ-პოსტ-ქორეოგრაფია, რომელიც პირველზე ორჯერ უფრო ჭკვიანური უნდა იყოს. აი პოსტ-ხელოვნება კი ნეტა რა არის? ალბათ, ქ-ნ სერგებრიაკოვას რაღაც რვეულუციური თეორია მოუფიქრებია და ასე ნაწილ-ნაწილ გვან-დობს, რომ ჩვენც “თამადის ტრადიციებზე გაზრდილი პუბლიკის” არ იყოს, ერთბაშად არ “გედვირიოთ”.

ლექსიკური რეგისტრების არეულობა, მოუხეშავი სინტაქსი და თვით-დაჯერებული ტონი, საბოლოოდ, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ მა-დი სერგებრიაკოვა ისევე ამკობს თავის ტექსტებს ტერმინოლოგიით, როგორც კაჭკაჭი გზიდება თავის ბუდე-ში ნაპოვ ბრჭყვილა ნივთებს.

მადი სერგებრიაკოვას მეორე სტა-ტია, რომელიც ელისო ვირსალაძის თბილისური საფესტივალო კონცერტის ანგარიშია, მადლობა ღმერთს, შედარებით თავისუფალია სნობიზ-მისაგან. სამაგიეროდ მასში მრავლად მოიპოვება საბაბი, ვიფიქროთ, რომ ავტორს არ შეუძლია საკუთარი ტექსტის მთლიანობის აღქმა. ასიო-დ სტრიქონზე იგი ორ-ორჯერ გვი-მეორებს, რომ პროგრამა ბეთობი-ტის მესამე საფორტეზიანო კონცერტისა და მესამე სიმფონიისაგან შედგებოდა. სტატისის დიდი ნაწილი, სა-დაც ფესტივალის საერთო პროგრამაზეა საუბარი, მან თავისივე ადრე-ულ მასალაზე დააყრდნო. ასე შეი-წინებულ ტექსტში ჯერ წერია, რომ ქართველი მსმენელი ტრადიციულად ემოციურია, მაგრამ ცოტა მოგვიანე-ბით ვიგებთ, რომ ამ ტრადიციულად ემოციურმა მსმენელმა, რომელიც თურმე მხოლოდ ელისო ვირსალაძის სახელისთვის ყოფილა მოსული, მეო-რე განყოფილების წინ, როცა “ჰერო-იკული სიმფონია” სრულდებოდა, გულგრილად დატკოა დარბაზი. ვი-ზიარებს ავტორის შემფოთებას, მაგ-რამ არ მესმის, რატომ უნდა ვწნო-დოთ ამგვარ მსმენელს “ტრადიციუ-ლად ემოციური”, ან რატომ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ელისო ვირსა-ლაძე “თბილისის კონცერტებით მაინ-ცდამაინც არ ანებიერებს”, ანდა ასე-თი მსმენელის შემთხვევაში რატომ უნდა დავგნოთ, რომ “ვირსალაძის პროფესიულ ღირსებებში ეჭვი აქამ-დედვ არავის შეპარეია” — თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ეს ქათინა-ური კი არა, თავხედობაა.

რაც შეეხება საკუთრივ მუსიკას, მადი სერგებრიაკოვა არაფერი გვეუბ-ნება. ორკესტრი მისი ზართი, როგორც მანამდე ყოფილა, “შეკრულია”. ეს, როგორც ეტყობა, ორკესტრის მისთვის ცნობილი ერთადერთი ღირსებაა. სოლისტის შესრულება კი ნა-ტივია, სადა და ინტელექტუალური. ესეც ერთი სტატიაზე მეტეში მომ-თაბარე შტამბია. აქ მასხინდება ერთი ძველი ფრაგმენტი ფილმი — “ბაბეტის ომი მიდის”. ხომ გახსოვთ? — ბაბე-ტას ასწავლიდნენ, როგორ მოეხიბლა ვერმახტის მელომანი გენერალი. ვაგ-ნერი ქარმშხალია, მოცარტი — ანკა-რა ნაკადული, ბაზი — ფილოსოფოსი. მაკრიველი ისაა, რომ გენერალი მართლაც მოიხიბლა. მაგრამ ჩვენი მკითხველისგან განსხვავებით იგი გა-ცილებით უფრო მომეგზიან მდგომარეობაში იყო, რადგანაც ცხვირწინ იმ-ხანად წორი ბრიჯიტ ბარდის ღვთა-ებრივი ფორმები უღოლეივდა.

მიანწერის სახით კი ერთი ჭკვი-ანი კაცი მინდა გავიხსენო: ტანზანიის ყოფილი პრეზიდენტი, ჯულიუს ნიე-რერე, რომელმაც ერთხელ დასაე-ფელთს უსაყვედურა, თქვენს ქვეყნებ-ში უმაღლესი განათლების მიღებას ვერმავებთ, თქვენ მხოლოდ უბე-დური ტანზანელების რიცხს ზრდითო. მე და შენ, ჩემო მკითხვე-ლო, სწორედ რომ ზედღური ტანზა-ნიელებს დღეში ვართ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვიცით: ეპითეტი შეფასებას არ თანხვდება, შედარე-ბათა დახვავება კი — განსჯას.



## ანსამბლი „რუსთავი“ ევროპაში გასტროლუხისტვის ემზადება

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ან-სამბლი „რუსთავი“ საგალობლების საერთაშორისო ფესტივალისათვის ემზადება, რომელიც სექტემბრის ბოლოს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გაიმართება. ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლები ესტონეთის რამდენიმე მართლმადიდებლურ ეკლესიაში ქართულ საგალობლებს შეასრულებენ.

ესტონეთიდან დაბრუნების შემდეგ „რუსთავი“ დიდ ბრიტანეთში გამგზავრებას აპირებს, სადაც „ქართული სუფრის დღესასწაულში“ მიი-

ღებს მონაწილეობას. დღესასწაული დიდ ბრიტანეთში საქართველოს სა-ელჩოს დახმარებით გაიმართება. როგორც „რუსთავის“ ქორმაისტერმა ბადრი თოიძემ, „მედია-ნიუსთან“ საუბრისას, განაცხადა, ამ ღონისძიების დროს ქართველი მზარეულები ინგლისელებს ქართული სამზარეულოს „საიდუმლოს“ აზიარებენ. „რუსთავი“ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საფრანგეთში დაგეგმილი კონცერტებისათვის დაინყებს მზადებას და წლის ბოლოს პარიზში 40 კონცერტს გამართავს. **მედია-ნიუსი.**

## კალენდარი



### 23 სექტემბერი

რიტმ-ენ-ბლუზი, ჯაზი, როკ-ენ-როლი, უამრავი უნიკალური ჩანაწერი და 12 გრემი. რეი ჩარლზ რობინსონის ცხოვრება პარადოქსებით არის სავსე. მისი ცხოვრება მაგალითია იმისა, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თავის დროზე ვერაგის იფიქრებდა, რომ შავკანიანი, ობოლი, ღარიბი და ბრმა ბავშვი სცენაზე მოხვდებოდა. “მუსიკა დაბადებიდან თან დამყვა. ის ჩემი განუყოფელი ნაწილია, ისევე, როგორც ჩემი სისხლი. სცენაზეც მუსიკის ძალამ ამიყვანა. მუსიკა მე თვითონ ვარ,” - ამბობდა იგი.

რეი ჩარლზი დაბადებით ბრმა არ ყოფილა, მაგრამ დღის სინათლით ტკობა დიდხანს არ დასცალდა. ერთადერთ ყველაზე ცოცხალ ხატებად დედის – არეტა რობინსონის სახე ჩარჩა.

რეი ჩარლზის პირველი მუსიკალური ნაბიჯები ფლორიდის შტატში მდებარე წმინდა ავგუსტინის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა სკოლასთან იყო დაკავშირებული. უკიდურესად გაჭირვებული რობინსონების ოჯახის პატარა ბიჭი სკოლაში საქველმოქმედო სანყისებზე მიიღეს. ბავშვი ბრაილის ანბანსა და ბეჭდვას, კალათების წვნას სწავლობდა. განსაკუთრებულ ყურადღებას მათემატიკას უთმობდა, მათემატიკა მას მუსიკის შეთხზვაში ეხმარებოდა. გონებაში განუწყვეტლივ ქმნიდა რაღაც მელოდიებს. დედის გარდაცვალების შემდეგ მან სკოლა მიატოვა და გადმევირბა თვითონვე გაეკვლია გზა დიდების მწვერვალსაკენ.

დღეს რეი ჩარლზს 72 წელი შეუსრულდა. ამერიკელი მუსიკოსი 1930 წლის 23 სექტემბერს დაიბადა.

<p><b>თეატრები</b></p> <p><b>ერთი მსახიობის თეატრი</b> <b>ვარიკო</b> “კარმენი“, რეჟ თენგიზ კოშკაძე; მთავარ როლში. მარინა ჯანაშია დას.: 19.00 სთ; ფასი 3 ლარი</p> <p><b>აპაჰი ხორაპაძის სახ. მსახიობთა სახლი</b> “ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა“, რეჟ რეზო გაბრიაძე დას.: 19 სთ; ფასი 5,12 ლარი</p>
<b>საგამოფანო დარბაზები</b>
<p><b>ეროვნული გალარეა</b> ამერიკის საულტროს მიერ მოწყობილი 11 სექტემბრის ტერაქტის ამსახველი ფოტოგრაფის და ქართველი მხატვარების ნამუშევართა გამოფენა.</p>
<b>კინოთეატრები</b>
<p><b>ამირანი</b> “უძილობა“, მთავარ როლებში: ალ პაჩინო და რობინ უილიამსი დას.: 13.00; 20.00; 22.00 სთ; ფასი: 5-8 ლარი</p> <p>სტივენ სპილბერგის “უცხოზღანეტელი“ დას.: 15.00; 17.00 სთ; ფასი: 5-6 ლარი</p> <p><b>რუსთაველი</b> “დიდი გამყინვარება“, საბავშვო ანიმაციური ფილმი დას.: 15.00; 17.00 სთ; ფასი 5 ლარი</p> <p>“ვნება“, მთავარ როლში რინად გირი დას.: 19.00; 21.00 სთ; ფასი 7 ლარი</p>
<b>საქონცვარტო დარბაზები</b>
<p><b>თბილისის მუსიკალური ცენტრი</b> საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი “შემოდგომის თბილისი“ 2002 თბილისის სიმფონიური ორკესტრი სოლისტი იური ბაშმეტი (სალტი), ვიქტორ ტრეტიაკოვი (ვიოლინი), ელენე რევიჩი (ვიოლინი), ბრიტენი კონცერტი ვიოლინოს, ალტოსა და ორკესტრისათვის, ბრიტენი ვარიაციები და ფუგა პერსტის თემაზე. მოცარტი სიმფონია კონცერტანტე ვიოლინოს, ალტოსა და ორკესტრისათვის დირიჟორი ვახტანგ კახიძე დას.: 19.00 სთ.</p>

# „რუსეთის პირველი მავიოლინა“ თბილისში უკრავს

“შემოდგომის თბილისის“ მეორე კონცერტი მევიოლინე ვიქტორ ტრეტიაკოვს დაეთმო

<span><span></span></span>	<span><span></span></span>
<b>მადი სარაზრიაკოვა</b>	<span><span></span></span>
<p><b>გუშინ საერთაშორისო მუსიკა-ლური ფესტივალის “შემოდგომის თბილისის” მეორე კონცერტი გაიმართა. ჩვენი სახელოვანი ელისო ვირსალაძის შემდეგ ფესტივალმა ცნობილ რუს მევიოლინეს ვიქტორ ტრეტიაკოვს უმასპინძლა. ვირსალაძის არ იყოს, ტრეტიაკოვმაც მეტად ტრადიციული რეპერტუარი - ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტი შეარჩია.</b></p> <p>როდესაც თბილისში მეტად დაფასებულ ალტისტს, იური ბაშმეტს ერთ-ერთ ინტერვიუში ჰკითხეს, თუ რა ადგილს მიანიჭებდა ვიქტორ ტრეტიაკოვს პეიფეცის, ისააკ სტერნის, დავიდ ოისტრახის, ლეონიდ კოვანის გვერდით, ბაშმეტმა მეტად ემპაქურად უპასუხა – ყველა მათგანს ერთ კონცერტზე ბრამსი რომ დაეკრა, ტრეტიაკოვს ავირჩევდიო. აღნიშნავენ, რომ ვიქტორ ტრეტიაკოვი მსოფლიოში იმაზე ნაკლებად არის დაფასებული, ვიდრე იმსახურებს. შესაძლოა, ამის მიზეზი მისი განსაკუთრებული მუსიკალური გზა და რეპერტუარული ინტერესებია, რომელიც იმავე ბაშმეტის თქმით, ბევრად განსხვავდება გიდონ კრემერის ულტრა ინტელექტუალიზმის ან ელადიმორ სპივაკოვის პოპულიზმისგან. ბრამსთან ერთად, ტრეტიაკოვი პროკოფიევის, სიბელიუსის და ჩაიკოვსკის კარგ ინტერპრეტატორადაც ითვლება და დასავლურ პრესაში – ლამის, ამ უკანასკნელის სავიოლინო კონცერტის თანადატორსაც უწოდებენ.</p> <p>მიუხედავად ამისა, ტრეტიაკოვის გუშინდელ გამოსვლა, კოვანის და ჰეი-</p>	
<span><span></span></span>	

# ბალაბანი ეროვნული პარიაციით

<span><span></span></span>	<span><span></span></span>
<b>დალი კუპრავა</b>	
<p><i>როგორც დასავლეთში ამბობენ, ცირკი ელიტური ხელოვნებაა და როგორც თეატრალური ხელოვნების სხვა ჟანრებს, ბალაგანური წარსული აქვს. ერთი წუთით წარმოიდგინეთ სახელმწიფოს მეთაური ცირკის ტრიბუნაზე, ან მთავრობისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ხელში “მამალითი” და “პატიშუტით”. რა მეცირკებაო, იტყვის მავანი და დაღლილ გონებას რესტორანში, კაზინოთა თუ საუნაში დაასვენებს. მონაკოს პრინცი რანიე კი ხშირად ესწრება საცირკო წარმოდგენებს. ინგლისის პრემიერიც უარს არ ამბობს ცირკში წასვლაზე და ბილ კლინტონიც, საქსოფონზე ჩაბერვასთან ერთად, ცირკში პოპ-კორნის ჭამითაც სიამოვნებით ერთობა.</i></p> <p>მოსკოვის ცირკში კი ბოლეთების შოვნა დიდ თეატრში მოხვედრარაზე უფრო რთულია.</p>	
<b>ცირკი არასერიოზულია?</b>	
<p>მიხეილ თუმანიშვილი ცირკს ხელოვნების ყველაზე სერიოზულ, თეატრალურ ჟანრად მიიჩნევდა. ქართველები ხომ სერიოზული ხელოვნების მოტრფიალენი არიან. მაშ, რატომ არ უნდათ ცირკი. იქნებ, ადრე ეროვნული რომ არ იყო, ესეც “რუსული” ეგონათ და იმიტომ, ან იქნებ ცირკი არ გვივარგოდა? “ორი ქართული საცირკო დასი არსებობდა და მათი გასტროლების შემოსავალი ძალიან დიდი იყო”, – გვითხრა თბილისის ცირკის რეჟისორ-ინსპექტორმა გურამ გარსევანიშვილმა, – “ფინანსურად ვინმე რომ დაესმარებოდეს, ერთ კვირაში საუკეთესო პროფესიონალთა დასი შეიკრიბებოდა”.</p> <p>როგორც გვითხრეს, დღეს მხოლოდ საცირკო “მამლუქები” გვყოლია, რომლებიც იმ ქვეყნების არენებზე გამოდიან, სადაც ცირკზე სხვა წარმოდგენა აქვთ.</p>	
<b>აქ წურწმეიასაც უსწავლია</b>	
<p>მომავალი “მამლუქებისა” და “პატრიტების” სამჭედლო შოთა მი-</p>	



ვიქტორ ტრეტიაკოვი და ვახტანგ კახიძე.

ფეცისეული ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერზე გაზრდილი მსმენელისათვის საკმაოდ უჩვეულო, შეიძლება ითქვას, საკამათოც იყო. ხსენებული მეტრებთან შედარებით, ტრეტიაკოვისეული ინტერპრეტაციით სავიოლინო კონცერტი ცოტა დისპარმონიულადაც კი ჟღერდა. შეიძლება, ასეთი ასოციაცია ორკესტრისა და სოლისტის არცთუ “შემღერებულმა” ანსამბლმა გამოიწვია: კახიძე (თბილისის სიმფონიურ ორკესტრს ვატო კახიძე დირიჟორობდა) და ტრეტიაკოვი კონცერტის ბოლომდე ვერ შეთანხმდნენ ტემპსა თუ რიტმში და საბოლოოდ, სავილინო კონცერტმა, ცოტა არ იყოს, შეუკრავის და ღერძგამოცდლის შთაბეჭდილება დატოვა. შესაძლოა, ვინ-

მემ ეს მომენტი არტისტის ინტერპრეტაციის თანამედროვე მანერითაც გაამართლოს, თუმცა, ქართველი მსმენელი ასეთ ექსპეტიმენტებს, ჩვეულებრივ, დიდად ვერ აფასებს. მიუხედავად აკადემიური თავმეკაცებულობისა და ბრწყინვალე ტექნიკისა - ტრეტიაკოვი თბილისელი მსმენელის მიერ საუკეთესო მიღებით მიიწვ ვერ დაიკვევნის.

სამაგიეროდ, ვახტანგ კახიძე დააფასა პუბლიკამ. არაჩვეულებრივად წარმატებული გამოდგა მეორე მოქმეებაში თბილისის სიმფონიური ორკესტრის მიერ შესრულებული სტრავინსკის “კურთხეული გაზაფხული”. ამ უკანასკნელს ქართული სიმფონიური ორკესტრების საყვარელ რეპერტუარში ნამდვილად ვერ შევიტანთ და საერ-



რეპეტიცია სასწავლებელში.

ლორავას სახელობის თბილისის საესტრადო და საცირკო სასწავლებელი.

დღეს სასწავლებელში 200-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს და აქედან საცირკო განყოფილებაზე – 19, უმეტესობა საესტრადოს ეტანება. რა თქმა უნდა, მოუ ბიზნესისა და პოპულარული ადმინანების სინდრომი მეშაობს: “იცით, ლელა წურწუშიამ ჩვენი სასწავლებელი დაამთავრა,”- ამბობს სტუდენტი გოგონა და თავისი ოცნებაც გათქვია.

ალბათ, ვერც ოცი ათასს მოიგებს და ვერც ხალხის პირისპირ გამარჯვებას მოიპოვებს ვინმე, თუ ქართულ ცირკის მსახიობზე დაუსვამენ შეკითხვას. გამოდის, საქართველოში ცირკი, ახლა უკვე ეროვნულიც, პრესტიჟული მაინც ვერ გახდა, არა-და, ცირკი ხომ მარტო კლოუნადა არ არის - არენას ეკვილიბრისტების, ილუზიონისტების, ცხოველების მომთიენიერებლებისა და სხვათა ხელოვნება და სიმამაცე ქმნის.

<span><span></span></span>	<span><span></span></span>
<b>მხიარული სახის რაინდები</b>	
<p>“საქართველოს პირველი ეროვნული კლოუნი” - ასე წარმოგვიდგინა თავი სასწავლებლის საცირკო განყოფილების ხელმძღვანელმა სანდრო თედიაშვილმა და განავრძო: “კლოუნი ნიჭიერი ხელოვანი უნდა იყოს, ტყვიაში, გამჭრიახი, ნაკიობი, ფიზიკურად მომზადებული და, ამას-</p>	
<b>აღე. პუსკაი</b>	
<p>უპირობობის გამო დღეს პროფესიონალი და სტუდენტი მომთიენიერებლები სახლში წვრთნიან ცხოველებს და დათვებთან, მელიებთან ან მგლებთან ერთად სძინავთ ოთახში</p>	

თოდ, სტავინსკის შესრულებაც არ არის ჩვენში მაინცდამაინც ტრადიციული. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ნაწარმოების ეფექტურობას ვერ დავებრალებთ გუშინდელ წარმატებას – სოლისტთან ოდნავ შეუხმატბილებელი ჩაიკოვსკის კონცერტის შემდეგ სტრავინსკი ძლიერ დამაჯერებლად გაუღერდა.

ასეა თუ ისე, ვინც გუშინდელი კონცერტი გამოტოვა, დანაკლისის ანაზღაურების საშუალება დღეს მიეცემა. “შემოდგომის თბილისის” დღევანდელ პროგრამას იური ბაშმეტი წარმოადგენს. მას პარტნიორობას, ისევ და ისევ, ვიქტორ ტრეტიაკოვი და ელენე რევიჩი გაუწევენ. სხვათა შორის, ტრეტიაკოვი და ბაშმეტი გამოცდილი პარტნიორები არიან და საგარაუდოდ, მათი ტანდემი განსაკუთრებით საინტერესო კონცერტის საწინდარი უნდა იყოს. დღევანდელი ღონისძიების ღირსებას რეპერტუარიც წარმოადგენს. იგი არცთუ ყბადაღებული ბრიტნის ვარიაციებისა და ფუგის პერსეულის თემაზე, მისივე თითქმის უცნობი კონცერტისაგან (ალტის, ვიოლინოსა და ორკესტრისათვის) და მოცარტის კონცერტანტესაგან შედგება. ბრიტენის კონცერტი საქართველოში პირველად შესარულდება. იგი კომპოზიტორის ოპუსებშიც არ არის შესული და ფაქტობრივად, ბაშმეტის “აღმოჩენა”.

**P.S.** სათაურს რაც შეეხება – “რუსეთის პირველ მევიოლინედ” ტრეტიაკოვი იმავე ბაშმეტმა დაასახელა, როდესაც მევიოლინეს 50 წლის იუბილეს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში მისივე სახელობის სამღლიანი ფესტივალით აღნიშნავდნენ.

(საქართველოს ტყეებში, ძირითადად, ამ ცხოველების მოპოვება შეიძლება, თუ არ ჩავთვლით სოხუმის ნაალფარ მაიმუნებს).

მსოფლიოში ერთადერთი მგლის მომთიენიერებელი, ტვრან აკოფიანი საცირკო სასწავლებლის კურსდამთავრებული იყო. ის ახლა შორს არის და სხვა ქვეყნის ენდემური ფაუნის ცხოველებს წვრთნის – ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

საცირკო ხელოვნების სამი სასწავლებელი იყო და სტუდენტებიც მამრიყ-მადრიდან თბილისში ჩამოდიოდნენ. დღეს სასწავლებელში რვა ინგილეც სწავლობს.

“აი, სად გშუშაობთ!” - გვითხრა სასწავლებლის დირექტორის მოადგილემ, ჰაიდარ მიქაძემ. “ადრე მთელი შერნობა, ცაბაძის ქუჩის N11-ში, ჩვენი იყო. პროკურატურა-სასამართლომ დაიიოდ ზინა და დროებით სხვაგან გადადითო. “დროებით” უკვე 14 წელია, მე-19 სკოლას ვართ მეფარბეულები. სასამართლოს დიდი დაგვიარაბით გამოგვლიჯეთ ორი სამუშაო ოთახი,” - ჰაიდარ მიქაძემ დიდსულოვნად ოთახები უწოდა ამ მინერეულ-მონგრეულ რაღაცას, რომელსაც არც სტუდია და არც აუდიტორია არ ეთქმის.

### დიდი პატარა ცირკი

დაიხ, ბავშვობაში ცირკი ყველას დიდი ჟეჟენება. შემდეგ, როცა შეილები მიჰყავთ, ბავშვობის მეგრძნებებს იგონებენ.

ესიკოვსკების ოჯახის რომელიმე წევრი, რომელთაც თბილისში ცირკი დააფუძნეს, ცირკის ტერიტორიაზე რომ გაატარო და თუნდაც ცირკში შეიყვანო, ვერ მიხვდება სად არის.

ამბობენ, ცირკი პატარაკიომვილმა იყიდა და უნდა გააკეთოს, მაგრამ ვინ გინდა რა, ჩვენი ღღარ იქნებაო.

არავის ანტერესებს “დისნეილენდი” ვისია, მაგრამ მთელი მსოფლიოს ბავშვები იქ მოხვედრაზე ოცნებობენ, ასეც მსჯელობენ.

**და კიდევ:**

კაცმა რომ თქვას, ქუთაისური ანექდოტისა არ იყოს, ერთიანი გალაგანი რომ გაუუკეთდეს, მთელი საქართველო ხომ ცირკია.

<span><span></span></span>	<span><span></span></span>	<span><span></span></span>	<span><span></span></span>
<b>16 სექტემბერი, ორშაბათი</b> <p>ბრიტანეთის სამთავროს დიდი დრახატული თეატრი წარმოიშვაშს ისინი რიუას Art</p>	<b>18-19 სექტემბერი, ორშაბათი-ხუთშაბათი</b> <p>ალექსი ფრანკელინი მუსიკალ-პოლიარ სექტაკლში "ინათი, ინათი, ჩემო პარსკალაო" და პატარაჰარის "კავალარ-დაქატ"</p>	<b>22-23-24 სექტემბერი, კვირა, ორშაბათი, სამშაბათი</b> <p>პარიზი ფრანკელინი მუსიკალ-პოლიარ სექტაკლში "ინათი, ინათი, ჩემო პარსკალაო" და პატარაჰარის "კავალარ-დაქატ"</p>	<b>22-23-24 სექტემბერი, კვირა, ორშაბათი, სამშაბათი</b> <p>პარიზი ფრანკელინი მუსიკალ-პოლიარ სექტაკლში "ინათი, ინათი, ჩემო პარსკალაო" და პატარაჰარის "კავალარ-დაქატ"</p>
<b>17 სექტემბერი, სამშაბათი</b> <p>ბაშოფანა სამსახ-პატარაჰარი შვი ღონისა-ს. გასსა გარკოივანიძეი ინება პატარაი მამადანისიონი ფრეიოპაპოიონი</p>	<b>20-21 სექტემბერი, პარსკალი-ხუთშაბათი</b> <p>ალექსი ფრანკელინი მუსიკალ-პოლიარ სექტაკლში "ინათი, ინათი, ჩემო პარსკალაო" და პატარაჰარის "კავალარ-დაქატ"</p>	<b>2-3 ოქტომბერი, ორშაბათი-ხუთშაბათი</b> <p>ბროის ბრამბოიონი კონკაიონი</p>	<b>2-3 ოქტომბერი, ორშაბათი-ხუთშაბათი</b> <p>ბროის ბრამბოიონი კონკაიონი</p>
<b>გმარალ ღარილ ზრანისი ბაჟოჰმადიონი სარაჟო</b>		<b>ერძემბერი ფსტიალს დასკარალს</b> <p>კონკოიონი ანდრაი პატაროიონი პოპოჰმადიონი სარაჟო</p>	
<b>ფსტივალ</b>			
<b>"შივაბ, სანკბ-პეშეკუკიგის"</b>			
<b>პარკობაბა გრიკოვლინი, სანკაიონის სანკაიონი</b> <p>ლაგაიონი თეატრი</p>			
<b>გაი: 93-11-06</b>			










## ლიტერატურული გალიმათიანი



ვერა, ვერ ინელგებდა შანშიაშვილი "ცისფერყანწელთაგან" ამგვარ აბუჩად აგდებას. რა აღარ მოიქმნდა, კონია გამსახურდიასაც კი ბაძავდა ერთხანს, გაალაგა "მონკავშირის" მალაზიიდან რქები თუ ყანწები - ღე-ბავდა და ღებავდა ცისფრად. არაფერი გამოვიდა - არ იღებდნენ სანუკ-ვარ ორდენში. და მაშინ გადაწყვიტა კონიას კი არა, უშუალოდ პოლოსა და ტიციანის ქვევებს, მანერებს ჩაღ-მანებებოდა. აკვირდებოდა ჩუმად ფანჯრიდან. გამოვიდოდა დენდუ-

რად გამოწყობილი პაოლო, ლამაზად გაუქნევდა მეტელეს ხელს, ტანის დახვე-ნილი, ბუნებრივად ლამაზი მორაობით მუხტებოდა ეტლის საფეხურზე, თითს გაიმყვრდა და: ორთაქალისკენ გასწი, ძობილიო! - გასძახებდა გალიმებულ მე-ეტლეს (ყველა მეეტლე სწობდა პაოლოს). "ვუღეე დარიანთან ექნება ალბათ პაემანი!" - ფიქრობდა დაბოლილი შანშიაშვილი. მერე დადგებოდა ჭერამდე ალ-მართულ სარკესთან, ეტლის საფეხურის ნაცვლად დაბლა ტაბურეტზე მუხტე-ბოდა, გაიმყვრდა თითს და: "ორთაქალისკენ გასწი, ძობილიო! ორორ-თაქალის-კენ გასწი ორორ-თაქა-ლლლლ- ისკენ ორორ..." - იმეორებდა დაუსრულებ-ლად, მაგრამ გული ერეოდა თავის კოტიტა თითის მუხტევდევარეს, ცხვირში იტა-ცებდა მაშინვე. შემდეგ ტიციანი გამოდიოდა, ისიც ლამაზად აბტებოდა ეტლში, უკან გადანიშნული და საზურგეზე მკლავგადასვენებული მიირთვოდა "თეთრი ღუქისკენ". შანშიაშვილიც მაშინვე დაიბნედა გულზე მიხასკ, სარკის წინ სა-ვარძელზე მიწვებოდა და ყნოსავდა ვითომ იმ მიხასკ. ერთხელ ფანჯრიდან თვალთვალის დროს დაინახა, როგორ შერხა ჭურის საპირისპირო მხარეს სარკ-მელზე ჩამოფარებული ფარდა. დააკვირდა. სათვალთვალო ჭურჭურტანა ჰქონდა დატანებული ფარდას. ვიღაც კონკურენტი მყავსო, დაასკვნა და განრისხებული აიჭრა იმ ბინაში, ნიხლით შეამტვრია კარი და... საოპერო ბინოკლით შეიარაღე-ბული ელვფთერ კატანიანი შერჩა ხელში. აქ რა გინდა, მე მამაძაღლოო, უყვირა, ახ ეგ რა გიჭირავს, როდის იყო ოპერაში დადიოდიო! დამშვიდდიო, მიეფერა კატანიანი, ავერ ლუშინალი დალოე, დაგანჯარებსო. მოკლდე, გაერთიანდნენ შანშიაშვილი და კატანიანი. დავაღვივნ - ელენე დარიანი თვითონ პაოლოაო, აუხსნა გარცემულ შანშიაშვილს კატანიანმა, ამაზე მეტი მისტიფიკაცია რაღა გინდაო? მისტიფიკაცია კი არა, ფალსიფიკაციაო, აღფრთოდა შანშიაშვილი, მაგ-რამ მაშინვე მოიფერა ლექსების ციკლი: "მერიკე ტაბალაუს დილიერეო", რომ-ლის პირველი ლექსიც იწყებოდა ასე: "დაღალა მერი სულს, მძიმე პალატის ტა-რებოი..." და მთავრდებოდა სამიხელი მექარიო: "დასჯები ხალხის მტრად და ქაჯად გადაგვარებით!" მაგრამ აქედან დიდი არაფერი გამოვიდა, მეფრალმა პა-ოლომ თვალი ჩაუკრა მხოლოდ და ეგ მტერი იმ ალბათ უცხანელი ჩათლახი იქნე-ბაო, უთხრა. სამაგრიად, მაგარი ტანი აქვსო, სისულელე ჩაიზუტებუტა სანდ-რომ და მაშინვე განთლდა - თავის ტანი წარმოუდგა თვალწინ.

მთავრდათვალეზმა გადაწყვიტა, ისევ ეტლის საფეხურზე აბტობას მისწო-ლოდნენ. გააჩერებდა შანშიაშვილი ეტლს, ხეხებით მუხტებოდა საფეხურზე, გა-იმყვრდა ხელთათმანი დაფარულ კოტიტა თითს და: "ორთაქალისკენ გასწი! ორორ-თაქ-ლლლ-ისკენ გასწი, შეჩეზა!" კატანიანი კი: "აბა, დავი ორრ-ტაქა-ლისკენ" და მიერდნენ შემოხედილი, ოფლში გახვითული ცხენები. ორთაქა-ლის ბაღვითან შეაყენებდნენ დაზაფრულ მეეტლეს: გადმოხტებოდა შანშიაშ-ვილი, მუხლს გამარბობდა, მერე მერვლე მიხას დაიბნედა, ისევ მუხტებოდა ეტლის საფეხურზე, თითს გაიმყვრდა და: "თეთრი ღუქისკენ გასწი! თეთ-რში ღუქის-სსსკენ გასწი!" ცხენებმა აიძისუხნირიო, ერთხელ გაუბედა მეეტლე და განრისხდა სანდრო: "გასწი, ახვარო!" მაშინ იყო, მეეტლემ რომ მოლტი გადაუჭი-რა სახეზე, შანშიაშვილი ეტლიდან გადმოვარდა და კატანიანის ცხენებმა გადაუ-არეს. "ორრ-თაქალისკენ! ორრ-თაქალისკენ!" - კოიდა კატანიანი. შემდეგ კატანიანიც სცემეს მეეტლეებმა და ორივენი ერთად იწვნენ სააფაფყოფში. ელვფთერი მაღალი ცხენები ჰქონდა და გაუბნებდნენ ბოდავდა: "არ გაცეცლი მე ჩემს სამშობლოს... არ გაცეცლი მე ჩემს სამშობლოს... არ გაცეცლიო..." ყველაფე-რი ამის ბრალიაო, გადაწყვიტა გააფრთხილეს შანშიაშვილმა, შურისძიება გადაწყ-ვიტა და დობლ-საინტერესო განუცხადა, სიციხიან მე მოუვლიო. სიციხეს ანაღუ-რად უზომადნენ კატანიანს. გადმოაღრუხებდნენ და თერმომეტრს პირდაპირ უკანა ტანში უყენებდნენ. პაოლომ და ტიციანმა ვაშლები და წითელი მიხაკები მოართვეს ერთხელ, თვალი ჩაუკრეს და დემეფილიბნენ. მეკავიფებიანო, გაციოვ-და შანშიაშვილი, გადმოაბრუნა კატანიანი - სიციხის გაზომვის დრო იყო და მიხა-კების თაღული ჩასწარა თერმომეტრის ნაცვლად იმ უკანა ტანში. გატყერნილი იმე კატანიანი. მაშინ იყო სომეხ მშრომლების დღეუცავია რომ ენგია მოსახა-ხელდობლად ელვფთერ კატანიანს. საუდაფყოფის მთავარი ექიმი წარუცხადა ასე-კაცი დემეტრედი, გაზეთ "კომუნისტის" და "ზარია ვოსტოკის" თანამშრომლებს, და ფართოდ გააღეს პალატის კარი. აჰი ვეჭოთი, გატყერნილი იწვა კატანიანი, უკახლოდან ყვავილების მადრეფანს უშვებდა და მიხასკის საამი სუნი იდგა პალა-ტაში. ეჰ, ახლა ვიღას აინტერესებს, მაგრამ სწორედ მაშინ გაბორტყდნენ ახალ-ქელაქში სომეხი, თერმომეტრები დაამსხვრეს და მიხაკები დამწვერებული კა-რიერისტის, გენერალ პასკევიჩის ძეგლი აღმართეს. დიდხანს აკვირდებოდა კატანიანი ქანდაკებას, ზენარა ჩამოსხნს და რას ხედავს - გენერალისმწერიანი შანშიაშვილი არ აბრიალებს თვალებსა? ძალიან ჰგავდა შანშიაშვილი ასეკ-ვიჩს თორემ? უკანა ტანი აწვნა, დაერია მიხაკებს, ფეხები დაუწყო სრესა, გაცოფე-ბული იმეორებდა თან: "თბილისი, ბაქო და ერევანა... თბილისი, ბაქო და ერევა-ნი..." ჭაბუკი ნონგენილის სახე ედგა თვალწინ. ლუმინალი მიანდნენ, მაგრამ ლა-მით უზარმაზარი "უკვალდით" შეიპარეს მაინც. საცოდავი... ემოციური კაცი იყო ძალიან და სიცხის გაზომვაც ჭირივით სძულდა.

■ ■ ■



ციხის ეზოში პოლკოვნიკის ფორ-მიანი, ჭარბადი ოფიცერი იდგა. გულ-ჩათხრობილი კაცი იყო ყოველთვის, არც დიდ მწერლობაზე უოცნიება ოფიცს. მისთვის სიმართლე იყო უპირველესი პრინციპი და კრედო ნუ-თისოფლისა, გლეხთა და მუშათა ეკ-თილდებოდა და ათასი წერილმანი. მწერლები უყვარდა და პატივსაც სცემდა. მიხეილ ქაიურდოს, მაგალი-თად... ახ, ანტონოვიკაია - უწნდოდა ეთქვა - დიდი მორუგეი და ვიღაც "უი-ლანკები კიდევ. მაგრამ პერიოდულად აბატნიბრდა მწერლებს მაინც. ასე იყო, თუ არ დატყუხავდა, კუდაბიზი და მწერლები მშრომლებს აუცილებლად დასაღებოდნენ თავზე. მაგრამ პატი-მარი ხელოვნები ძალიან ებრალბო-და. ხაღდახან, პოლკოვნიკად გადაიც-ვამდა, გრიმს გაიკეთებდა და დადიო-

